№ 48

1877—1905

№ 48

პარასკევი, 8 აპრილი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პარასკევი, 8 აპრილი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მთმწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: „**ივერიის ბიბლიოთეკა**“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილიდან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა.

უკანასკნელი წარმოდგენა.

პარასკევს, 8 აპრილს, მთელი დასის მონაწილეობით გაიმართება დიდი წარმოდგენა. სხვათა შორის, მეორე განყოფილების შემდეგ გაიმართება სამი ჭიდაობა. პირველად ცნობილი ფალავანი **ვანო თარხნიშვილი** კავკასიურად დაეჭიდება ცნობილ ფალავანს **ჯიბგირს.** ჯილდო 25 მანათი. მეორედ ცნობილი ჰერკულესი-ფალავანი **რომო** კავკასიურად დაეჭიდება ცნობილ ფალავანს **ვანო ჭიკვინიძეს**. ჯილდო ვერცხლის საათი. მესამედ ცნობილი ფალავანი მზარეული **კონსტანტინე მაისურაძე** კავკასიურად დაეჭიდება ცნობილ ფალავანს მედროგე **აღნაბიურ არუთინოვს**. ჯილდო 25 მან. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს, $^1/_2$ საათზე.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოების მორიგი კრება მოხდება 30 აპრილს ამა 1905 წლისა. განსახილველი საგნები: 1) განხილვა და დამტკიცება 1904 წლის ანგარიშისა; 2) განხილვა და დამტკიცება 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა: 3) არჩევანი გამგეობის ორის წევრისა, საბჭოს სამის წევრისა, სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათის კანდიდატებისა. 1—1

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა $12^1/_2$ $1^1/_2$ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში დირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი — 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ჯ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აშეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—$1^1/_2$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—$1^1/_2$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჭაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ხელზე მოსამსახურეთა მოთხოვნილების გამო.

ამ სამიოდე დღის წინად ყველა ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილი იყო მოთხოვნილებანი რესტორან-სასტუმროების ლაქია-მზარეულებისა და კერძო სახლებში მოსამსახურეთა. დღესაც იბეჭდება მოთხოვნილებანი ბუფეტების ლაქიებისა. ხსენებული მოთხოვნილებანი მათ წარუდგენიათ თავიანთ „ბატონებისათვის“ და მოუთხოვიათ, რომ მოსამსახურენი უკეთეს, ადამიანისთვის უფრო შესაფერსა და ღირსეულს პირობებში იქმნენ ჩაყენებულნი.

უეჭველია, არიან ისეთი „ბატონები“ და „ქალბატონები“, რომელნიც ამ მოთხოვნილებათა გამო განცვიფრებაში მოვლენ და „ბიჭების“ ხმის ამოღებაზე აღშფოთდებიან. მაგრამ დღევანდელი ცხოვრება ყურადღებას არ აქცევს ამგვარ პირების აღშფოთებას და დაუფარავად თხოულობს საერთო საჭიროების დაკმაყოფილებას...

ხელზე მოსამსახურენი მშრომელ ხალხის სწორედ ისეთ ელემენტებს წარმოადგენენ, რომელთა შესახებ განსაკუთრებით მკაცრი და ადამიანურ ღირსების უარისმყოფელია საზოგადოებაში გამეფებული შეხედულება და ზნე-ჩვეულება. ვინც „ბიჭი“ ან „გოგო“,—ხელზე მოსამსახურეა, არ უნდა ჰქონდეს თავმოყვარეობა და ადამიანურ ცხოვრებისადმი მისწრაფებაო,—ამაში დარწმუნებულია არა ერთი და ორი „აღა“ და „ქალბატონი“ და ამიტომ არც გასაკვირია, რომ „ბიჭების“ ხმის ამოღებამ და თავის ადამიანურ ღირსებაზე ლაპარაკმა ისინი გააცვიფროს.

ეს მით უფრო არ არის გასაკვირი ჩვენში, რადგან ჩვენზე უფრო განათლებულ და დაწინაურებულ ქვეყნებშიაც ახეთი ბატონური შეხედულება და ზნე-ჩვეულება არსებობს ხელზე მოსამსახურეთა შესახებ. გერმანიაში, მაგალითად, დღესაც ძალაშია უმსგავსო Gesindeordnung-ი (შინა-მოსამსახურეების შესახები კანონები), რომელიც უფლებას აძლევს ბატონს მოსამსახურე „მორჩილებაში“ იყოლიოს და, თუ ვადამდე გაექცა, პოლიციას მოაყვანინოს.

მაგრამ ცუდი მაგალითი ვერაფერი მისაბაძი ნიმუშია და ამიტომ სასიამოვნოა, რომ ჩვენებურს შინა-მოსამსახურეებში თავის ღირსების შეგნება ფეხს იკიდებს და ზნეობრივად ამაღლების სურვილი პრაქტიკულად განხორციელების სახეს იღებს.

ხელზე-მოსამსახურეთა არსებობა საზოგადოდ დამყარებულია იმავე მიზეზებსა და საფუძველზე, როგორზედაც დაფუძნებულია არსებობა დღიურ მუშებისა და საერთოდ მოქირავე მშრომელთა. ამ საგნის ძირითადად მოგვარება და ეხლანდელ განხეთქილების მოსპობა მხოლოდ იმ ბრწყინვალე საზოგადოებაში შეიძლება, რომელსაც ამის საშუალებას მისცემს ტეხნიკური წარმატება და ადამიანის ცნობიერების გადემოკრატება და რომელშიაც საზოგადოდ მოსპობილი იქნება ყოველგვარი კლასობრივი დანაწილება და დაქირავებაზე აგებული ურთიერთობა...

მაგრამ ეს «მერმისის მუსიკაა» და ამჟამად კი მოსამსახურეებს ეჭირვებათ მდგომარეობის გაუმჯობესება და გაადამიანება. ისინი თხოულობენ ზრდილობიან მოპყრობას, ჯამაგირის მომატებას, სამუშაო დროს შემცირებას. განა ამის წინააღმდეგ ითქმის რამე? ყველა კატეგორიის მუშებზე უფრო შინა-მოსამსახურეთა მუშაობის დრო არის გაურკვეველი და განუსაზღვრელი: რესტორანებში დილის 3—4 საათამდის მუშაობენ და კერძო ოჯახებში ხშირად, „ნერვებიან“ ქალბატონების წყალობით, დღე და ღამ ძილსა და მოსვენებას არიან მოკლებულნი.

ჩვენის აზრით, მოსამსახურეთა მოთხოვნილებაში შედარებით წვრილმანი საგნებია მოხსენებული და სრულიად გამოტოვებულია ერთი საჭიროება, რომლის ასე თუ ისე მოგვარებასა და დაკმაყოფილებასაც მოსამსახურეებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეს საგანია ზრუნვა მომავლისათვის, მოსამსახურეთა რამოდენიმედ მაინც უზრუნველყოფა მოხუცებულობისა და დასნეულების დროისათვის.

დღეს შინა მოსამსახურეს მხოლოდ მაშინ შეუძლიან თავის რჩენა, თუ ჯანმრთელად არის და მუშაობას ახერხებს. მაგრამ კაცი ყოველთვის არც ჯანმრთელია და არც ახალგაზდა,—ერთ დროს ავადმყოფობა ეწვევა ან, თუ დღეგრძელია, მოხუცებულობა აღარ ასცდება. ამ დროს კი იმ კაცს, რომელმაც თავისი სიცოცხლე სხვის სამსახურში გაატარა, თავის შრომით ლუკმა პურის მოპოვება აღარ შეუძლია და იძულებული ხდება ან შიმშილით მოკვდეს, ან და თავი დაიმციროს და სამათხოვროდ სხვებს ხელი გაუწოდოს.

ამ აუცილებელ საჭიროების მოგვარება იმ გზით შეიძლება, რა გზითაც დაწინაურებულ ქვეყნებში ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილი არის სამრეწველო მუშათა ბედ-იღბალი. შინა-მოსამსახურე, როგორც საზოგადოდ ყოველი მოჯამაგირე, მუშა, დაზღვეული უნდა იყოს მოხუცებულობისა და დასნეულება-- დაუძლურების დროისათვის. დასაზღვევ თანხის შედგენა უნდა დაეკისროთ დამქირავებელთ, რომელნიც ეხლა სხვისი შრომის წყალობით ქონებას იძენენ ან კერძო სახლებში თავის ოჯახურ ცხოვრებას გემოიანად ატარებენ...

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

6 აპრილი.

ლიმოჟი, 5 აპრილი (ჰავასი). უწესოების დროს მოკლულ იქმნა ერთი მუშა, დაიჭრა ოთხი მუშა, სამი აფიცერი, რამდენიმე უნტერ-ოფიცერი და ჯარისკაცი. გაფიცულნი ქუჩებზე უმანიფესტაციოდ ჯგუფ-ჯგუფად დადიან. ქუჩებში პატრულებია. საღამომ მშვიდობიანად ჩაიარა. მოკლულ მუშის გვამი მის სახლში წაიღეს და ხვალ დაასაფლავებენ. ცხენოსანი რაზმა დაიცავს წესიერებას. გაავრცელეს მოწოდებანი და მუშებს დასაფლავებაზე დასასწრებლად იწვევენ. დასაფლავებას დიდის ამბით აპირობენ.

ლონდონი, 6 აპრილი. ადგილობრივ მმართველობის პრეზიდენტმა ჭვრალდ ბალფურმა პალატაში კანონ-პროექტი შეიტანა. ეს კანონ-პროექტი შეეხება უსაქმოდ დარჩენილ მუშათათვის სამზრუნველოდ სასდმანისტრაციო ორგანოების დაარსებას. შინაგან საქმეთა მინისტრმა ეკკერს დუგლასმა არა სასურველ ემიგრანტთა შესახები კანონ-პროექტი წარადგინა. უმთავრესია შემდეგი მუხლები: ემიგრანტები უნდა ჩამოხტნენ იმ ნავთ-სადგურებში, სადაც ემიგრანტების საქმეთა გამგე-მოხელე არის და ამავე მოხელისაგან უნდა აიღონ ნებართვა. ვისაც ნებას არ მისცემენ, შეუძლია გაასაჩივროს საემიგრაციო კომისიაში. თუ სულით ავადმყოფმა და დაავადებულმა ემიგრანტებმა არ დაამტკიცეს, რომ ცხოვრებისათვის საჭირო მოპოვებათ, სასურველი არ არის მათი მიღება, ვინაიდგან საქველ-მოქმედოდ ხდებიან. პოლიტიკურ დანაშაულთა გამო დასჯილ ემიგრანტთა იძულებითად გაცემის შესახებ კანონ-პროექტში ნათქვამია: თუ პოლიტიკურ დანაშაულთა გამო ემიგრანტს სდევნიან და თავშესაფარს ეძებს, საცხოვრებლის უსახსრობამ ხელი არ უნდა შეუშალოს მის ნავთ სადგურში ჩამოხტომას. შინაგან საქმეთა მინისტრს ნება აქვს არა-სასურველი ემიგრანტები აჰყაროს, თუ ამას სასამართლო ურჩევს. ფრიტოსა და საუტგემტონს შორის ემიგრანტებს მხოლოდ რვა ნავთ-სადგურში ეძლევათ ჩამოხტომის ნება. ეს მუხლი არ ეხება სხვა მხარეში წასასვლელად მატარებლით მოსულ გადმოსახლებულთ. კანონ-პროექტი მიღებულ იქმნა პირველ წაკითხვის შემდეგ.

ყაზანი, 6 აპრილი. მუსულმანთა წარმომადგენლები უფაში წავიდნენ იმ კრებაზე დასასწრებლად, რომელიც ორენბურგის მუფტიამ მოიწვია სასულიერო დაწესებულებათა რეორგანიზაციისათვის.—საბჭომ კვლავ მიიღო საგუბერნიო საკრებულოს მიერ უარყოფილი კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობის შესახები დადგენილება.

რადგანაც ზოგიერთი მუხლი გაურკვეველია, საბჭო შუამდგომლობს პოლიცია ქალაქს დაუქვემდებარდესო.

კირსანოვი, 6 აპრილი. სარატოვისა და მორშანსკის თამბაქოს ქარხნებმა მოილაპარაკეს და თამბაქოს ფასი დასწიეს 20—40 კ.; ამის გამო გლეხკაცობა უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა.

ლონდონი, 6 აპრილი. (რეიტერი). დომ სთქვა, ბრიუსელის კომისიის სხდომებზე რუსის შაქრის საკითხის შესახებ ლაპარაკი არ ყოფილაო. იმ შეკითხვის გამო, რომ რადგანაც რუსის შაქარზე არავითარი ბაჟი არ არის დაწესებული, მთავრობას ხომ არ შეუძლიან გააუქმოს ის ზომები, რომელიც რუსის საქონელის შესავიწროებლად არის შემოღებულიო, დომ უპასუხა, არა მგონია, მთავრობამ ეს მოიქმედოსო.

პარიზი, 6 აპრილი. ნაციონალისტებს, რომლებმაც პალატაში ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ ილაპარაკეს, დელკასემ უპასუხა, მაროკოს მთავრობამ 23 მარტს საფრანგეთის ყველა წინადადება პრინციპიალურად მიიღო. რაც შეეხება იმ დაბრკოლებებს, რომელმაც თავი იჩინა მაროკოს პოლიტიკაში, გერმანიის მთავრობას შესაფერი განმარტება გავუგზავნეთ და, თუ ამით არ დაკმაყოფილდებიან, მე მზადა ვარ შევავსო ეს განმარტება და მათი ინტერესები შევათანხმოო. ამის შემდეგ ილაპარაკა რუვიემ, რომელმაც სთქვა: „ჩვენ საყვედურს გვიცხადებენ, გერმანიას რატომ წინდაწინვე არ შევატყობინეთო, მაგრამ მაშინ ყველა სახელმწიფოებისთვისაც უნდა შეგვეტყობინებინა. გერმანიას თუ კიდევ რამე სურს, გვითხრას, ჩვენც ერთმანეთში მოვილაპარაკებთ“. სოციალისტი ვაიანი შეეკითხა, შორეულ აღმოსავლეთში რუსის ესკადრის შესახებ არის თუ არა მიღებული ზომები, რომ საფრანგეთს ნეიტრალიტეტის დარღვევა არ დაჰბრალდესო. რუვიემ უპასუხა, ნეიტრალიტეტის დასაცველად ყველანაირი ზომები არის მიღებულიო.

ბერლინი, 6 აპრილი. «სტანდარტის» აქაურ კორესპონდენტის ის ცნობა, რომ გუშინ საფრანგეთის ელჩს ბიგურას გარეშე საქმეთა სამინისტროში საუბარი ჰქონდაო, მართალია. კორესპონდენტის სიტყვით, საფრანგეთსა და გერმანიას შორის მოლაპარაკების შედეგი მცირეა. ბიგურას განმარტება, როგორც ეტყობა, საქმეს ვერ აკმაყოფილებს. გერმანიის ოფიციალურ წრეებს არსებულ უთანხმოების მალე მოსპობა არა სჯერათ. გერმანიას აზრადა აქვს, თავის ინტერესების დასაცველად მოლაპარაკება პირდაპირ მაროკოსთან გამართოს. გერმანიის მისია ფეცში გააგზავნება. ჰფიქრობენ, მაროკოს საკითხისთვის მსოფლიო კონფერენცია მოიწვიონ.

პეკინი, 6 აპრილი. აღმოსავლეთით მდებარე საიმპერატორო სასაფლაომდე რკინის გზის გაყვანა გარდაწყვეტილია. რკინის გზის გაყვანას აპირებენ ხუბეის პროვინციაში თიანსინსა და ძინჩაის შუა.

ერევანი, 6 აპრილი. მატარებლების მიმოსვლის შეჩერების გამო, ფოსტა აღარ მოდის. ვაჭრებს საქონელი აღარ მოსდით. ფასებმა აიწია.

რეშტი, 6 აპრილი. სპარსეთის შაჰი ევროპაში ერთს წელიწადს იმოგზაურებს.

პარიზი. დილით მინისტრთა საბჭოში დელკასე მაროკოს შესახებ ლაპარაკობდა. საფრანგეთ-რუსეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულების შესადგენად კომისია ოცის დღის შემდეგ წავა. კომისიამ საფრანგეთის მრეწველობისთვის ზოგიერთი საჭირო მუხლი აქვე შეიმუშავა.

ლიმოჟი. მუნიციპალიტეტის საბჭო უწესოების მსხვერპლთ თავის გულითადს მწუხარებას უცხადებს. მოკლულთ ქალაქის ხარჯზე დაასაფლავებენ და მცხოვრებლებს სთხოვს, დამშვიდდითო. ახალ მანიფესტაციას ელიან. დაატუსაღეს 89 კაცი. ქალაქის სახლზე ბაირაღები დაშვებულია. ქუჩებში დარაჯთა რაზმები დადიან.

დრეზდენი, 6 აპრილი. პურის მცხობლების თანაშემწეები გაფიცვას აპირებენ. სამხედრო მთავრობამ აღუთქვა, თუ საჭიროება მოითხოვს, სამხედრო პურის-მცხობლებს გამოგიგზავნითო.

სტამბოლი. ინგლისის ესკადრის რაზმი, რომელიც იმპერატორის ვილჰელმის დასახვედრად კორფუში წავიდა, უკანვე დაბრუნდა.

ნიუ-იორკი. პორტო-რიკოში პოლიციასა და გაფიცულთა შორის დიდი შეტაკება მოხდა. ორსავე მხარეზე ბევრია დაჭრილი. ამერიკის ბაირაღი ხალხმა ჩამოგლიჯა და ფეხით გასთელა.

ტანჟერი. სიმართლეს მოკლებულია ის ცნობა, ვითომ სულთანს მიეღოს საფრანგეთის მიერ შედგენილ რეფორმების პროექტი.

სტამბოლი. მანსდორფს ბჭობა ჰქონდა ზინოვიევთან და ავსტრიისა, საფრანგეთისა და ინგლისის ელჩებთან მაკედონიის მდგომარეობის შესახებ. პორტასაგან თხოულობენ რეფორმების შემოღებასა და უოვლდგვარ შევიწროების მოსპობას.

იოჰანესბურგი. 5 კვირის მოლაპარაკების შემდეგ შეთანხმდნენ, რომ მთავრობის პასუხის-მგებლობა ასოციაციამ და ბურების დასმა პოლიტიკური საქმეები ერთად განაგონ. ბურებმა დაარწმუნეს მთავრობა მასთან კეთილგანწყობილებასა და ერთობაში და განაცხადეს, გარდაწყვეტილი გვაქვს უთუოდ მოვიპოვოთ პასუხის-მგებელი მმართველობაო.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან).

5 აპრილი.

ლონდონი, 6 აპრილი. გარეშე საქმეთა სამინისტრო უარჰყოფს იმ ცნობას, ვითომც სამხედრო გემი „ფიგენია“ იაპონიის ფლოტს ატყობინებდა, თუ სად იმყოფებოდა რუსეთის ესკადრა. ნაბრძანებია ყველა ცნობები შიფრით გადააკეთონ და საიდუმლოება სასტიკად დაიცვან, მაგრამ შეუძლებელია მეზღვაურებს აეკრძალოს ნავთსადგურებში ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა და ამბების გადაცემა.

სიტიაზა, 5 აპრილი. ღამის 11 საათი და 8 წუთი. მტრის ბანაკების დაზვერვას განაგრძობენ. გამოირკვა, რომ იაპონელები ახალ პოზიციების გამაგრებას შეუდგნენ. ხშირია მოწინავე რაზმთა შორის მცირე შეტაკებანი.

ტოკიო, 6 აპრილი (რეიტერი). გუშინ ზღვაში ჩაუშვეს ნაღმოსანი „ქიჯი“, რომელსაც 200 ტონნა წყალ-რწყვა აქვს.

შანჰაი, 6 აპრილი. იაპონელებმა ჩინეთს წინადადება მისცეს, ამერიკელებზე ორჯერ უფრო იაფად გვეიყვანეთ ხანკოუ-კანტონის რკინის გზასაო.

პარიზი, 6 აპრილი. ადმ. გრიგოროვიჩმა გამოუცხადა „პტი პარიზიენ“-ის თანამშრომელს, — რუსეთის ფლოტი რომ პორტ-არტურში არ დაბრუნებულიყო, ჩვენი საქმე კარგად იყო, გამარჯვება ჩვენს მხარეს ჰქონდაო; მხოლოდ მისმა პორტ-არტურში დაბრუნებამ იხსნა იაპონიის ლონე-მიხდილი ფლოტი დამარცხებისაგანო. თუმცა „ცესარევიჩი“ საათში 4 მილის მეტს ვერ გასცილოდა, მაგრამ იაპონელები ისე დაქანცულნი იყვნენ, რომ მაინც ვერ ეწევოდნენო.

ვაშინგტონი. მთავრობის სათავეში მდგომნი ოფიციალურად აცხადებენ, იაპონიას საკმაო საბუთი არა აქვს იმისი, რომ საფრანგეთს ნეიტრალიტეტის დარღვევა უკიჟინოს იმის გამო, რომ ბალტიის ესკადრას ნება მისცა კამრანის ნავთ-სადგურში დგომისაო. საფრანგეთს საკმაო ვადა უნდა მივცეთ, რომ წინადადება მისცეს რუსებს ნავთსადგურიდან გაედინენ, მანამდე კი არ შეიძლება ბრალი დავსდოთ, ვითომ იგი როჟესტვენსკის მფარველობას უწევდესო.

ტოკიო. რამდენიმე საზღვაო ექსპერტი ჰფიქრობს, ბალტიის ესკადრა წყნარ ოკეანით წავა ლაპერუზის სრუტეთი, თუმცა ოკეანეში ყინული უკვე დაიძრა და მგზავრობა საშიშიაო. ახლა იმის სჯა-ბაასში არიან, ნებას მისცემს თუ არა საფრანგეთი ბალტიის ესკადრას წაიღოს ვლადივოსტოკამდე სამყოფი ქვა-ნახშირიო? შიშობენ, საერთაშორისო საქმეები არ გამწვავდესო. აქამდე იაპონია ყურს არ იბერტყავდა და რუსთა ესკადრას საშუალება მისცა განეგრძო თავისი გზა, მაგრამ ახლა კი იაპონია საზღვაო ბაზად ჩასთვლის იმ ადგილს, სადაც ესკადრა გაჩერდება, და შესაფერ ღონისძიებასაც მიიღებს. გულწრფელად სწამთ, რომ არც ერთი დიდი სახელმწიფო იქამდე არ მიიყვანს თავის საქციელით საქმეს, რომ საჭირო გახდეს უკიდურესი ღონისძიებანი.

ტოკიო, 6 აპრილი. მიკადოს თავმჯდომარეობით საგანგებო თათბირი ექმნებათ მინისტრებსა და მხცოვან სახელმწიფო მოღვაწეებს.

ლონდონი. ბარონ სუემატცუმ, „ცენტრალ ნიუს“-ის სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს, განაცხადა: „რუსეთი ძლიერ შემცდარია, თუ იმასა ჰფიქრობს, რომ როჟესტვენსკის ესკადრის შორეულ-აღმოსავლეთის წყლებში მისვლით იაპონიას შეაშინებო. ეხლანდელ მდგომარეობითა და რუსეთის საშინაო საქმეთა აწეწილ მდგომარეობით ძნელია ესოდენ შორეულ წყლებში ექსპედიციის გაგზავნა, და რუსეთს კი, პირიქით, მისის გამარჯვების იმედიცა აქვს. ტოგოსაც არა სძინავს; ის მთელს თავისს ძალ-ღონეს მოიხმარს და შესძლებს, როგორც ყოველთვის, მტრის ფლოტის დამარცხებას, რადგანაც მისის საზღვაო მოქმედების გეგმა მეტად ხელოვნურად, გონივრულადაა შემუშავებული და გარე-

მოებაც ძლიერ უწყობს ხელსაო. ბრძოლის შედეგზე ეხლავე წინასწარმეტყველება არ შეიძლება, მაგრამ იაპონიას მაინც საფუძველი არა აქვს, რომ მომავალის ბრძოლისა ეშინოდესო". სუემატცუმ დასასრულ განაცხადა,—თუ საფრანგეთი, როგორც ისმის, რუსეთის ფლოტს თავშესაფარს მისცემს, იაპონიას საფუძველი აქვს ამის თაობაზე საყვედური გამოუცხადოსო. იაპონიას არავითარი განზრახვა არა აქვს საფრანგეთს წაეჩხუბოს, აგრეთვე არც კოხინხინის ხელში ჩაგდება სწადიან, მაგრამ ის კი გულით უნდა, რომ საფრანგეთთან ნამდვილი კეთილ-განწყობილება ჰქონდეს, და ამიტომ მოვალეობაა, რომ მოყვარეს პირში უძრახოს.

პარიზი. ინდო-ჩინური გაზეთები იუწყებიან: სადამოქნო ნავმა მოასწრო იაპონიის კრეისერს „ნიპპონ-იარვანტან"-ს სწორედ იმ დროს, როცა კამრანის ნავთსადგურის სიღრმეს სინჯავდაო. პოლიტიკოსები აცხადებენ,—რამდენიც უნდა გვარწმუნოს იაპონიამ, რომ ვითომ რუსეთის გემების ინდო-ჩინეთის მახლობლად ყოფნა ნეიტრალიტეტის დარღვევააო და ვითომ როჟესტვენსკი სარგებლობს საფრანგეთის ახალშენთა ნავთსადგურებით სატევ მოქმედებისათვის—მაინც სიმართლეს მოკლებულიაო.

მოსკოვი, 6 აპრილი. შორეულ აღმოსავლეთს გაემგზავრნენ მოსკოვის გრენადიორები, რიცხვით 2,000 კაცი. საზოგადო-საერობო ორგანიზაციამ ცნობა მიიღო, რომ ამჟამად ხარბინში 40,000-ზე მეტი ავადმყოფი და დაჭრილი რუსები იმყოფებიანო.

ტოკიო. ჰგონებენ, როჟესტვენსკის განზრახვა აქვს კამრანს დარჩეს 24 აპრილამდეო. მომავალ მოქმედებათა მოლოდინში რუსები დაატყვევებენ ფორმოზისაკენ მიმავალ სავაჭრო გემებს.

ლონდონი. ინგლისის გემთა უმეტესობამ ბალტიის ესკადრას უვნებლად გაუარა და იაპონიაში სამხედრო სურსათი და ტყვია-წამალი წაიღო. უკანასკნელი ხომალდი ამ სავაჭრო გემებისა მანილას ჭორს შემოუვლის და რამდენისამე დღის შემდეგ მივა იაპონიაში.

ჰონკონგი. საჭირო შეიქმნა, რომ ინგლისის გემებზე, რომელთაც იაპონიაში ნუზლ-სანოვაგე მიჰქონდათ, ინგლისელი მეზღვაურები ჩინელებით შეეცვალათ, რადგანაც ინგლისელებმა უარი განაცხადეს, ამას იქით გზას ვერ განვაგრძობთ, რადგან შესაძლოა ბალტიის ესკადრას შევეხეროთ და რამე ხიფათი მოგვივიდესო.

თუმცა იაპონიის პრესსამ დიდი განგაში ასტეხა რუსეთის ესკადრის კამრანში ყოფნის თაობაზე, მაგრამ აქ ამ ამბავს არავითარს მნიშვნელობას არ აძლევენ. საზოგადო აზრის თანახმად, როჟესტვენსკის ესკადრა მუდამ ერიდება საფრანგეთის ტერიტორიის წყლებში თავის ფლოტის გაჩერებას და ყოველთვის სამის მილის მანძილზე სდგას ნეიტრალურ ნავთსადგურებიდან, თორემ ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მისს ახლოს მიმავალი სხვადასხვა გემებიც ადვილად დაინახავდნენ. ამის გამო „სტანდარტ"-ი მოაგონებს იაპონელებს, რომ ერთისა თუ ორის თვის წინად იმათაც გაჰგზავნეს თავიანთი კრეისერი იმავე ნავთსადგურ კამრანში; როცა ეს სახელმწიფოებმა გაუგეს, მაშინვე იაპონელებმა რაღაც გულუბრყვილო ამბავი მოიგონეს, ვითომ ერთი ნაღმოსანი დაგვეკარგა, არ ვიცით სად იმყოფება და იმის საძებნელად გავგზავნეთ ეს კრეისერიო. ამავე ნაპირის მეორე ნავთსადგურშიაც აღმოაჩინეს ერთხელ იაპონიის კრეისერი, რომელიც ზღვის სიღრმეს სინჯავდაო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

მანჯურიაში. იაპონელები ისევ წინ მიდიან. 1 აპრილს დილით სინმიმპუ-დაიშიხეძის გზით იაპონელებმა ხეიშიმაზე იერიში მიიტანეს და აიღეს. იმავე დროს იაპონელებმა სროლა აუტეხეს რუსის ცხენოსნებს, რომელთაც ქედი ეჭირათ და პადიაძიც აიღეს... იმავე დღეს იაპონელებმა სოფელი ნანსანჩენძი დაიჭირეს (რ.).

ტოკიოდან იუწყებიან: იაპონელები ისევ წინ გაემართნენო. ხარბინში სურსათი აკლიათ. ფქვილი ძალიან ნაკლებად აქვთ. რაც რუსებმა გასულ წელს სურსათი მიიღეს, სულ მუკდენში მოაგროვეს. ეს სურსათი მერე იაპონელებს ჩაუვარდათ ხელში, რუსები კი უსურსათოდ დარჩნენ (ნ.).

იაპონურ პრესსის აზრი ზავისა და ომის შესახებ. ,,ჟურ. დედება''-ს კორესპონდენტს იაპონურ ჟურნალ-გაზეთებიდან ამოღებული ნაწყვეტები მოჰყავს. იაპონიის ერთი უდიდესი და გავლენიანი გაზეთი—,,ჯიჯი'' ირწმუნება, რომ ზავი ჯერ ძალიან შორს არისო. რუსეთის შინაური საქმეები ძალიან გახლართულია,—სწერს გაზეთი,—მაგრამ რუსეთის მთავრობა ომის შეწყვეტას სულაც არ აპირობს, რადგან მას ოპოზიციისთვის არაფრის დათმობაც არ უნდა. იაპონიას რუსეთში არეულობის იმედი არ უნდა ჰქონდეს და ეს უზამაზარი სახელმწიფო მხოლოდ თვითონ უნდა დაამარცხოს. იაპონიამ იმ თავითვე გადასწყვიტა შორეულ აღმოსავლეთში მკვიდრ მშვიდობიანობის დამყარება, მაგრამ ამ აზრის განხორციელება ჯერაც შორს არის, მიუხედავად იმისა, რომ იაპონიამ სახელოვნად გაიმარჯვა. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ეხლანდელ ომს ჯერ ბოლო არ უჩანს და ამიტომ ჩვენ სახელმწიფოსაც უდიდესი საქმე აწევს კისერზე. დღეს რუსეთ-იაპონიის ომს (ეს წერილი ომის წლის თავზეა დაწერილი) ერთი წელიწადი შეუსრულდა და სწორედ დღეს ჩვენმა ერმა მტკიცედ უნდა გადასწყვიტოს ომის გაგრძელება იმ დრომდე, სანამ იაპონია თავის მიზანს მიაღწევდეს.

იაპონურ ჟურნალ ,,თაიო''-ში (მზე) იაპონიის პროგრესისტთა საპარლამენტო დასის მეთაურის ოიში მასამას წერილია დაბეჭდილი: „ომის მომავალი და მანჯურია''. ავტორი, სხვათა შორის, სწერს: ,,უნდა გვახსოვდეს, რომ საქმის გაუთვალისწინება და მედიდურება ჩვენს ერს დაღუპავს. ჩვენ სინამდვილეს პირდაპირ უნდა შევცქეროდეთ და ხანგრძლივ ომისათვის უნდა მოვემზადოთ. ჩვენი ერი მოუთმენელია, ჩქარობს და უნდა, რომ ეს უდიდესი საქმე ორ დღეში გათავდეს. არა, ამისთანა საქმე ორ დღეში არ თავდება! ყველა ჩვენგანს უნდა ახსოვდეს, რომ ომი რამდენსამე წელს გასტანს და მზად უნდა იყვეს, თუ საჭიროება მოითხოვს, უკანასკნელი პერანგი გაიხადოს და მებრძოლთ გაუგზავნოს.

,,ნიში-ნიში შიმბუნ"-ი თხოულობს, ომი იმ დრომდე უნდა გაგრძელდეს, სანამ რუსეთი არ გამოტყდება, თავის დამარცხებას არ აღიარებს და ზავს არ მოითხოვსო...

განთქმული პროფესორი, რუსების მოძულე ტომიზუ იაპონელებს ურჩევს, ხანგრძლივის ომისთვის ეხლავე მოემზადეთო. ეხლა ზავის ჩამოგდება იაპონიას ხელს არ მისცემს,—სწერს ტომიზუ,—რუსეთი ტალიენვანსა და პორტ-არტურს დიდის სიამოვნებით დაგვითმობს, ხოლო რაც შეეხება მანჯურიის დათმობას, ეს ჯერ კიდევ შორსაა. იაპონია რამდენისამე წლის შემდეგ იძულებული გახდებოდა ომი ხელმეორედ დაეწყო.

კორესპონდენტი თავის წერილს ასე ათავებს: ცხადია, რომ იაპონიის ერს ჯერჯერობით ზავის ჩამოგდება სულაც არ უნდა (რ. ს.)

უცხოელთა აზრი ომის ვითარების შესახებ. ,,ინდ. ბელგე''-ს სამხედრო მიმომხილველი მანჯურიაში მდგომარეობის შესახებ სწერს: ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ შორეულ აღმოსავლეთი, როგორც ეტყობა, ხელმეორედ უნდა წალეკოს სისხლის ნიაღვარმა. ლინევიჩის სიტყვით იაპონელთა მოწინავე რაზმები, დაინახეს თუ არა რუსები, მაშინვე მიიმალნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ იაპონელებმა რუსების პოზიციები გასინჯეს, დაათვალიერეს, რაც უნდოდათ—გაიგეს და ეხლა მომავალ ბრძოლისთვის ემზადებიან. გენ. ლინევიჩს ხარბინიდან მაშველი ჯარი მოუვიდა, ამიანად ლინევიჩს ეხლა 300 ათასამდე მებრძოლი ჰყავს; ოიამას შეუძლიან ბრძოლის ველზე ეხლავე გაიყვანოს 475 ათასი კაცი. რაოდენობის გარდა, ოიამას პოზიციები სჯობს ლინევიჩის პოზიციებს. იაპონელების ჯარი ისე დგას, რომ ორივე ფრთები წინ არის წაწეული, ცენტრი კი უკან, სამხრეთისკენ არის. გენ. ნოგი რკინის გზის გაყოლებაზე მიდის; კუროკი ცდილობს, გირინის მიდამოებში დაბანაკებულ რუსეთის ჯარს შემოუაროს. ეს ისევ ის ტაქტიკაა, რომლითაც მდინარე შახეზე მარშალმა ოიამამ შესანიშნავად გაიმარჯვა. იაპონელები რუსებს ორივე მხრიდან უელიან. ამის გამო რუსებს არ ეცოდინებათ, რომელ მხრიდან მიიტანენ იაპონელები უმთავრეს იერიშს და, მაშასადამე, ვერც იმას გადასწყვეტენ, თუ საით და რომელ ფრთეზე უნდა გაგზავნონ მაშველი ჯარი. ამრიგად გენ. ლინევიჩს მხოლოდ სასწაული უშველის. გენ. ლინევიჩს შეუძლიან კუროპატკინის ტაქტიკას დაადგეს—დროზე უკან დაიწიოს და იაპონელთა რკინის რკალს თავი დააღწიოს.

იმავე მიმომხილველის აზრით, რუსეთის მდგომარეობა ზღვაზე უფრო უარესია. ადმირალ ტოგოს ესკადრა როჟესტვენსკის ესკადრაზე ძლიერია (ზოგიერთა მეზღვაურის აზრით პირიქით, რუსეთის ფლოტი სჭარბობს იაპონიისას. იხ. გუშინდელ „ივერია"-ში ადმ. ვალუას აზრი). თუ როჟესტვენსკიმ როგორმე მოახერხა და ტოგოს ფლოტს ცალ-ცალკე მოასწრო, შეიძლება გაიმარჯვოს კიდევაც, მაგრამ ადმირალმა ტოგომ, დიდი ხანია დაამტკიცა, რომ ხათანგში არ გაებმება და თავის ფლოტს არ დაჰფანტავს. ეხლა იწყობა მესამე და უკანასკნელი მოქმედება შორეაღმესავლეთის დრამისა (რ.).

,,ნ. ფ. პრ.''ს სამხედრო მიმომხილველიც ეთანხმება ,,ინდ. ბელ.''-ს მიმომხილველს და სწერს: იაპონელებს რუსებზე ძლიერი ფლოტიცა ჰყავთ და მეზღვაურებიც გაწვრთნილნი და გამოცდილნი არიან ამიტომ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მომავალ საზღვაო ბრძოლაში ადმირალი ტოგო გამარჯვებული დარჩება. გარდა ამისა იაპონელებს ერთი დიდი და მნიშვნელოვანი უპირატესობაც აქვთ: იმათი გემები რუსების გემებზე კარგია და მეზღვაურებიც დახელოვნებულნი და აღფრთოვანებულნი არიან, რასაც, როგორც წარსულმა გვიჩვენა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ცხადია, რომ ამჟამად როჟესტვენსკი ტოგოს ერიდება, ემალება და უნდა როგორმე გაიპაროს და ვლადივოსტოკს მიაღწიოს. თუ როჟესტვენსკიმ მართლა მოახერხა და უბრძოლველად ვლადივოსტოკს მიაღწია, რუსების საქმე წასულია: ადმირალი ტოგო ვლადივოსტოკს ალყას შემოარტყამს, გასავალს ნაღმებით აავსებს და ამ ფლოტსაც იმ დღეს დააყენებს, რაც პირველ ფლოტს დააყენა (რ.).

ადმ. ტოგოსი და როჟესტვენსკის ესკადრები. ადმირალის ვალუასი და ზოგიერთა მეზღვაურების ანგარიშით, ადმირალ როჟესტვენსკის 149 ზარბაზნით მეტი აქვს ტოგოზე. ინგლისელ მეზღვაურთა ანგარიშით კა სულ სხვა გამოდის. აი, მაგალითად:

იაპონელებს აქვთ:		რუსებს აქვთ:
პირველხარისხოვანი ჯავშნოსანი...	4	5
მეორეხარისხოვანი	1	6
ჯავშნიანი კრეისერები . . .	8	3.
სულ	13	14.

(დანარჩენი გემები ნაანგარიშევი არ არის).

ამ გემებზე იაპონელებს აქვთ:		რუსებს:
12 დიუმიანი ზარბაზანი..	20	26
10 „ „ . .	1	7
9 „ „ . .	0	8
8 „ „ . .	30	13
6 „ „ . .	164	115
სულ	215	169

(წვრილი ზარბაზნები ნაანგარიშევი არ არის).

მოდი და გაიგე, ვინა სტყუის და ვინ ამბობს მართალს! (რ.).

იაპონიის ჯაშუშები. ,,კენ. ცეიტ.''-ს ატყობინებენ: ამას წინად ვლადივოსტოკში 5 იაპონელი ჯაშუში დაიჭირეს. ჯაშუშებს ქალაქის სანგრებისა და ფორტების ფოტოგრაფიული სურათები უპოვეს, მაგრამ გვიან-ღა იყო: ამ სურათების პირი იაპონელებს უკვე გაეგზავნათ იაპონიაში (ნ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ზუგდიდი, 7 აპრილი. **ზუგდიდის მაზრის სოფ. მუხურში საღამოს ჟამზე ვიღაც უცნობმა პირებმა მოჰკლეს 12 ტყვიით თ-დი პ. ა. დადიანი.**

ზუგდიდის მაზრის უფროსის თანაშემწეს, რომელსაც თან ახლდა 6 სტრაჟნიკი, გზაში ესროლეს თოფი ვიღაც უცნობმა კაცებმა. დაიჭრა ერთი სტრაჟნიკი.

ახალი ამბავი

ოთხშაბათს, 7 აპრილს, ღამის 11 საათზე, ბათუმისკენ გაისტუმრეს მატარებელი, რომელზედაც **მემანქანე ვოლმარი ძალით დასვეს და თან ერთი ჟანდარმიც გააყოლეს**. როდესაც ეს მატარებელი შუაღამის 2 საათზე სადგურ კასპში გაჩერდა, ორთქლმავალზე ავარდა ვიღაც უცნობი კაცი და რევოლვერი დაახალა ბეჭებში. ვოლმარი გარდაიცვალა.

✦ ოთხშაბათს საღამოთი ბაქოსკენ გასული მატარებელი-ექსპრესსი. როდესაც სადგურ ალსტაფას დაახლოვებია, ორთქლ-მავალი **გზიდან გადავარდნილა** და მატარებელი შეჩერებულა. გაუსინჯავთ და უნახავთ, რომ ორ ასაქცევ რელსებს შუა დიდი ქვა **დებულა**. მგზავრები არ დაშავებულან.

✦ 5 აპრილს სადგურ ტფილისის სემაფორთან ბათუმიდან მომავალ **მატარებელს № 4-ს მუშები დაუხვდნენ** და შეაჩერეს. ისარი წინადვე გადაწეული იყო და მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის განკარგულებით, გაფიცულ მემანქანეთა სახლიდან გამოსაყვანად უნდა **გაიგზავნოს ხოლმე 3 ჯარის კაცი და 1 ჟანდარმი**.

✦ ტფილისის სადგურზე ამჟამად ორთქლ-მავალზე თავის ნებით მუშაობს **მხოლოდ ერთი ძველი ნამსახური მემანქანე**, გვარად გალვაჩევსკი.

✦ ამას წინად რკინის გზის ,,ტიაგის'' უფროსმა ტფილისის დეპოში დანიშნა ზეინკალი ტოლპიკინი, რომელიც წინად მუშებმა გამოაძევეს თავიანთ წრიდან. ამ დღეებში მუშებმა თავი მოიყარეს დეპოსთან და **ტოლპიკინის სამსახურიდან დათხოვნა მოითხოვეს**. თხოვნა აუსრულეს.

✦ ამბობენ, „ტიაგის" **ნაწილის უფროსი ვარტენბურგი თანამდებობას თავს ანებებსო**.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსმა მემანქანეების გაფიცვის გამო გზათა მინისტრს დეპეშა გაუგზავნა. ეხლა, როგორც ,,ტფილისის ლისტოკი'' გადმოგვცემს, **გზათა მინისტრისაგან შემდეგი პასუხი მოსულა**: მემანქანეებს გამოუცხადეთ, ამ განცხადების შემდეგ სამის საათის განმავლობაში მუშაობას თუ არ დაუბრუნდებიან, ყველანი შორეულ აღმოსავლეთში იქნებიან გაგზავნილნიო. ფოთის რკინის გზის რემონტის მუშები კი დაატუსაღეთო.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გაფიცულ მოსამსახურეთა მაგივრად, გზათა მინისტრის ბრძანებით, ტფილისში იმიერ-კასპიის ოლქიდან **გამოწვეულია რკინის ბრიგადის გზის ერთი ბატალიონი**.

✦ გუშინ საღამოს ტფილისის რკინის გზის სადგურთან **დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი**; სტუდენტებიც ერივნენ. კაზაკებმა ხალხს ცემა-ტყეპა დაუწყეს. ძალზე სცემეს ერთ სტუდენტს, რომელსაც თავისი ამხანაგი მიეშველა, მაგრამ პოლიციელებმა წაავლეს ხელი და დაატუსაღეს.

✦ სადგურ ტფილისის **კონდუქტორებმა შეიმუშავეს** და წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილება-

ფელეტონი

განცხრომის შვილი

საღამოა. ლაჟვარდს ცაზე
ვარსკვლავთ შორის ბადრი მთვარე
მეფურად ზის და მის შუქზე
ოქროს ფრად სჩანს არე-მარე.
აგერ, ტურფა დარბაზის წინ,
დიდი კაცი დასეირნობს,—
,,ძირს მე ვბრწყინავ, მაღლა მთვარე''...
განცხრომის ძე ასე ჰფიქრობს.
მის თვალ წინ კი დამშეული
ხალხი ჰკვნესის, იტანჯება...
მაგრამ იგი ამისათვის
სულ არა სწუხს, არც ღონდება.
ან კი რისთვის დაღონდება?!
თითონ მუდამ მაძღარია!
მაძღრისთვის კი სხვის შიმშილი
გასართობი ზღაპარია!..

გ. ზაზანაშვილი.

საპყრობილე

(მაქსიმ გორკის ახალ მოთხრობის გამო)

I

საპყრობილე! რა საზიზღარი სახელია! რა გულის შემზარავი სანახავია!

ჩაბნელებული სახლი, მოღუშული ადამიანები, ბნელი, პირუტყვული ცხოვრება. ჯაჭვებისა და ბორკილების ჩხარუნი, აპრიალებული ხიშტი, გულსაკლავი მარტოობა, ნოტიო და ბნელი სადგომი, მუდამ გაფაციცებით მოთვალთვალე მწყრალი დარაჯი, აყროლებული ჰაერი, უვარგისი სასმელ-საჭმელი,—ვის არ წარმოუდგება საპყრობილის ხსენებაზე ეს მიწიერი ჯოჯოხეთი, რომელიც თვითონ ჩვენის ხელით არის მოგონილი და აშენებული.

ყველაფერზე უფრო უწმინდესი ადამიანისათვის ამ ქვეყნად მისი თავისუფლება არის. იგი ძვირფასი განძია, სატრფიალო საგანია ადამიანის ცხოვრებაში. და ამ უწმინდესი გრძნობის შესაბღალავად, ამ განძის წასართმევად თვით ადამიანმა მოიგონა ეს მიწიერი ჯოჯოხეთი!

ყოველივე ძალმომრეობა ეწინააღმდეგება განვითარებულ ადამიანის ბუნებას, ეს ყველაფერზე უფრო მძიმე უბედურებაა. თავისუფალ ადამიანების სიყვარულითა და ერთობით განმტკიცებულ ცხოვრებაში შემოიჭრა ეს ძალმომრეობა და ადამიანიც გახდა საბრალო მონად. მაგრამ მოვა დრო, როდესაც შეურაცხყოფილი ადამიანის ბუნება დაიბრუნებს თავისუფლებას და სამუდამოდ მოსპობს ბორკილების ჟღარუნს, თუმცა ჯერ, ამ ბორკილებს, სამწუხაროდ, კიდევ კარგა ხანს უნდა გავუწიოთ ანგარიში.

საპყრობილე დაუძლურებს ადამიანს ნებას, აგრძნობინებს ხვების სიძლიერეს, დათრგუნავს მის ამაყ სულს, გაასწორებს მას და მოარჯულებსო,—ფიქრობენ ბევრნი, მაგრამ ძლიერ სცდებიან. ვერას დროს ბორკილი ვერ დათრგუნავს ადამიანს, ვერ გამოაცვლევინებს აზრებს, ვერ „გაასწორებს" მას ისე, როგორც იმათ უნდათ, ვინც ეს ბორკილები შემოიღო...

საპყრობილე მართლა აფიქრებს, ასევდიანებს, სტანჯავს ადამიანს, მაგრამ ამ ფიქრის დროს იგი ნათლად რწმუნდება ცხოვრების არარაობაში, მის უსამართლოდ მოწყობაში. აქ ებადება მას ხშირად დიდებული და საშიშარი აზრებიც. ოცნება იტაცებს მის გონებას, გული ევსება ნაღველით, უმტკიცდება ნება და ენერგია. მუდამ თავისუფალი აზრი ამხნევებს მას, იტაცებს ვიწრო საკანიდან და შორს, შორს, თავისუფლად ანავარდებს და საბრძოლველად, უსამართლობასთან გასამკლავებლად იწვევს.

საბრალო, თვალ-ჩაცვივნული, დაშინებული დარაჯი, ხიშტით ხელში, რომ შეხედავს ასეთ მოუდრეკელ პატიმარს, ძალაუნებურად ეკითხება თავის თავს: ვინ უფრო არის ჩვენს შორის პატიმარი? მე, რომელიც შიშითა და მოკრძალებით, თოფით ხელში, ჩემდა უნებურად ვდგევარ აქ, თუ ეს პატიმარი, რომელიც ასე ამაყად და გაბედულად გამოიყურებაო?! მე, მე უფრო ვარ პატიმარი, რადგანაც თავისუფალ მოძრაობას კი არა, თავისუფალ ფიქრსაც მოკლებული ვარო,—იტყვის იგი თავის გულში.

არა! საპყრობილე, ნაცვლად დათრგუნვისა, ამაგრებს, ამტკიცებს ნებას და ხასიათს, უფრო გარკვევით აგრძნობინებს ადამიანს მის აუტანელ მდგომარეობას, უფრო გარკვევით შეაგნებინებს იმ აზრებს, რომელშიაც წინად არ იყვნენ დარწმუნებულნი.

საპყრობილე ანვითარებს და ზრდის ახლანდელ წეს-წყობილების მოწინააღმდეგეთ, ის ფრთებს ასხამს მებრძოლ პირებს და ახალი ბრძოლისათვის საუცხოვოდ და ხელოვნურად ამზადებს.

II

ასეთი აზრები მოგივათ თავში ძალაუნებურად, როდესაც მაქსიმე გორკის ახალ მოთხრობას „საპყრობილეს" წაიკითხავთ. ეს საუცხოვო „ამბავი" „სბორნიკ ზნანია"-ს უკანასკნელ წიგნში არის დაბეჭდილი.

ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე, გულ-კეთილი სტუდენტი მიშა მალინინი მოჰყვა შემთხვევით ხალხის გროვას, რომელიც პოლიციელებით იყო გარშემორტყმული. ხალხი შერეკეს ვიღასაც ეზოში. აქ მიშას მკლავს შეეხო იქვე მყოფ ქალის სუსტი ხელები. ქალს ცრემლები სდიოდა. ბაგე უკრთოდა და მთელის არსებით საშინლად კანკალებდა:

— უთხარით იმას, მე არ შემიძლიან, მე არა მსურს, რომ წავყვე. მაგან ხელი წამკრა. როგორ ბედავს! რა ნება აქვს! უთხარით მაგას!..

ამ სიტყვებზე მიშა ცეცხლივით აენთო. სისხლი თავში აუვარდა, თვალთ დაუბნელდა, მისი ჭაბუკი გული გაბედულობით აღინთო და ის პირდაპირ გაჰქანდა წინ.

— თქვენ როგორ ბედავთ ცემას?!

— მე არ წავალ, არ წამოგყვები! ჩვენ ჯოგი ხომ არა ვართ! კმარა ამდენი ძალ-მომრეობა!

ამას შემდეგ ასტყდა აურ-ზაური და რა ამბებიც მოხდებოდა,—ჩვენი მკითხველი ადვილად წარმოიდგენს.

მიშა გონს მოვიდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ეტლში ეგდო და პოლიციისაკენ მიაქროლებდნენ. იქიდან მალე საპყრობილეში გაისტუმრეს.

აქ კი მიშა დაწყნარდა.

იგი უფიქრდებოდა თავის საქციელს და თავის თვალში თანდათან მაღლდებოდა. სამართლიანი სიამაყე და თვითცნობიერების გრძნობა იპყრობდა მის არსებასა. იმდენ ხალხში მხოლოდ მან გამოიჩინა იმდენი სიმამაცე და გამბედაობა, რომ შეებრძოლა უსამართლობას და ძალ-მომრეობას.

საპყრობილე რა უნდა იყოს! სრულებით არ არის მძიმე და საშიშარი! ყველა ადამიანები შეერთებულის ძალით რომ შეებრძოლონ ისე გაბედულად, როგორც იგი შეებრძოლა, ყველაფერს, რაც გვავიწროებს და გვიშლის თავისუფლად ცხოვრებას, მაშინ, პირველ იერიშის შემდეგვე, ჩვენი ცხოვრება შეიქნებოდა უფრო სახალისო, უფრო ლამაზი და სასიამოვნო...

საკანის კედელზე მან თვალი მოჰკრა წინანდელ პატიმრისაგან დაწერილ ლექსს. მიშას გაეღიმა და მერმე ხმამაღლა სიცილიც დაიწყო.

დარაჯმა გარედან შესძახა:

— აქ არ იცინიან!

მიშა შეკრთა. გარედან ისმოდა, რომ ახლო სალდათებს სწრთვნიდნენ...

მიშამ სიარული დაიწყო და ჩვეულებრივად შტვენას მოჰყვა.

ფანჯარაში ზედამხედველის ცალი თვალი გამოჩნდა.

— შტვენა აქ აკრძალულია!

მიშა გაჩუმდა. შემდეგ მას მოაგონდა ერთი კუპლეტი და ხმა მაღლა გაიმეორა.

— ლაპარაკი არ შეიძლება!—ხელმეორედ მოესმა ხმა.

— რატომ? იკითხა მიშამ.

— რას იცინით, ბ-ნო სტუდენტო! ეეხ, განა სიცილისათვის ჩაგსვეს აქ?!

გარედან ისმოდა, როგორ ასწავლიდა ზედამხედველი სალდათს, რაგვარად უნდა მოქცეულიყო ის, თუ პატიმარი ან გაქცევას დააპირებდა და ან ფანჯრიდან თავს გადაჰყოფდა. სალდათს არაფერი ესმოდა.

ზედამხედველი ყვიროდა და უწმაწურის სიტყვებით ილანძღებოდა....

მიშა გამოიყვანეს საკანიდან ჰაერის ჩასაყლაპავად. ზედამხედველმა უთხრა:

— აქედან იმ კედლამდის შეგიძლია ისეირნოთ. ნება კი არ გაქვთ ვისმე დაელაპარაკოთ. უნდა იაროთ. ნება არა გაქვთ ერთ ადგილას გაჩერდეთ!..

ნება არა გაქვს, აკრძალულია! ეს სიტყვები მუდამ ესმის პატიმარს და გამოუთქმელ დამცირებას აგრძნობინებს.

ყველაფერ ამას დაუმატეთ კიდევ ის ცემა-ტყეპა, რომელიც აქ არის გაბატონებული, რომელიც სულიერ ტანჯვასთან ერთად ფიზიკურ ტკივილებსაც აყენებს ყველა იქ მყოფს, და ადვილად წარმოიდგენთ, თუ როგორ უნდა განუვითარდეს და განუმტკიცდეს იქ მყოფ კაცს გრძნობა პროტესტისა და წინააღმდეგობისა.

ერთხელ მიშამ ჰკითხა იქაურ ზედამხედველს:

— ნუ თუ თქვენ მოგწონთ აქ სამსახური?

— ცემა რომ არ იყოს, მაშინ არა უჭირდარა!..

— განა თქვენც გცემენ? ვინ?!

— მე იშვიათად მცემენ. ხანდახან უფროსი ჩამარტყამს ხოლმე კისერში... მე საზოგადოდ ვამბობ. პატიმრები ჩხუბობენ. ისე სცემენ ერთმანეთს, რომ საშინელებაა! ზედამხედველებიც სცემენ მათ. მაგრამ ყველას კი არა. ზოგიერთს ვერც გაუბედავ გალახვას, მაგრამ, ვისი ცემაც-კი შეიძლება, იმას კი არავინ ზოგავს.

იმან მიმოიხედა აქეთ-იქით და შიშით განაგრძო:

— მე კი არ შემიძლია ვუყურო, როდესაც სცემენ. ვერ ვიტან!

— თუ ასეა, სხვა ადგილზე რატომ არ გადადიხართ?

— სად უნდა წავიდე? ყველგან ჩხუბობენ. მთელი ჩვენი ცხოვრება ომია. ყველგან ამნაირი სიმკაცრე და მხეცობაა! თქვენ ნასწავლი კაცი ხართ, ამიხსენით,—რად არის ყველგან ასეთი მხეცობა?!

მიშამ შეამჩნია, რომ ზედამხედველს თვალებზე ცრემლი მოადგა.

ეტყობოდა, ამ საზიზღრობას, ამ მხეცურ ცხოვრებას ადამიანური სული სავსებით ვერ მოეკლა მასში.

რაც უფრო ხშირად ისმის ეს საზიზღრობისა და ტანჯვის კვნესა, იმდენად უფრო გიძლიერდებათ და მოსვენებას არ გაძლევთ ეს კითხვა:

— რად არის ყველგან ასეთი სატანჯველი?

მოისმის პატიმართა სიმღერა, ნაღვლიანი და დამაფიქრებელი. ისინი დასტირიან იმას, თუ როგორ დაუჭერიათ გაშლილ მინდორში სწრაფი შევარდენი, როგორ მიუბამთ ჯაჭვები და წაურთმევიათ მისთვის თავისუფლად ფრენის უფლება. რად წაართვეს მას ეს ღვთაებრივი უფლება?

ნაღვლიან მოთქმას თან მოსდევს მათი მხიარული გულის ამღვრევი ცეკვა-თამაში, გაბედული ხმა, ძლიერი სიტყვები და აზრები, რომელიც გულის სიღრმიდან დაუფარავად ამოხეთქს ხოლმე.

სასტიკ დისციპლინას სად შეუძლია ბორკილი შეასხას ადამიანის სულს და ჩააქროს მისი მოძრაობა!

ამ დისციპლინის შემქნელნიც ვერ ახერხებენ, რომ ადამიანური გრძნობები გულში ჩაიკლან. მათი სულიც გრძნობს გამოუთქმელ ტკივილებს, როდესაც ისინი ბნელ ღამეებში მდუმარებით შესცქერიან საპყრობილის შავს კედლებს, ეკითხებიან თავის თავს:

— რად ააშენეს ეს კედლები? რად სცემენ ერთმანეთს, რად სტანჯავენ? რა საჭიროა ეს სისაძაგლე? რად უნდათ, რომ მე ჯალათად გამხადონ!...

მიშა დაუმეგობრდა საპყრობილის ზედამხედველს, რომელიც ხშირად ივიწყებდა არსებულ დისციპლინას და შედიოდა მასთან საკანში, რომ სული მოეთქვა მასთან ლაპარაკში. ოდესღაც მას ჰყავდა შვილი. მაგრამ ის დაუახლოვდა „სტუდენტებს". მამამ ამისთვის სცემა და შემდეგ შვილი სრულებით განშორდა მამას და გადაიკარგა.

— არ ნანობთ ახლა შვილის დაკარგვას?—ჰკითხა მიშამ.

— ვნანობ! მებრალება. ხანდახან კაცის მკვლელიც კი მებრალება, ვინ იცის, რამ აიძულა, რომ კაცი მოეკლა!

და ეს სიბრალული თანდათან იზრდება მის გულში, აძლევს მის არსებობას ცოტაოდენ აზრს და მის კერძო ცხოვრებასაც ადამიანურ მიმართულებას.

III.

მიშა თანდათან აკვირდებოდა იქაურ ცხოვრებას. რამდენიც ხანი გადიოდა, ის უფრო და უფრო შორდებოდა თავის ძველ ცხოვრებას და ახალისთვის ემზადებოდა ისე, როგორც ის ემზადებოდა სასწავლებელში ყოფნის დროს.

ეს გულკეთილი ჯანსაღი ახალგაზრდა საპყრობილეში რომ არ ჩავარდნილიყო, ვინ იცის, იქნება

ნი: 1) უნდა მიეცეთ სიტყვისა და კრების სრული თავისუფლება თავიანთ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა გამოსარკვევად. 2) უნდა მიეცეთ დახმარება საქონლის კონდუქტორებს—30 მან., ბაგაჟისა—35 მან. და მთავარ-კონდუქტორებს—40 მან.; ეს დახმარება უნდა მიეცეს იმ კონდუქტორებსაც, რომლებსაც შენიშვნა მიუღიათ და სამსახურში ახლად შესულებსაც. 3) უნდა დააკმაყოფილონ თხოვნა კონდუქტორების მიერ ამა წლის 21 თებერვალს № 828 მიცემული; კონუქტორები აცხადებენ, თუ მარტო პირველსა და მეორე მუხლს დააკმაყოფილებენ, მაშინ მხოლოდ საფოსტო მატარებლებზე ვივლით, დანარჩენ მატარებლებზე-კი მაშინ ვივლით, თუ მესამე მუხლსაც დააკმაყოფილებენო.

✦ საქართველოს ეგზარხოსთან შესდგა ტფილისში მყოფ ეპისკოპოსების თანადასწრებით კრება, რომელმაც, იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის განცხადებისა თანახმად, გადასწყვიტა, აღიძრას შუამდგომლობა **ქუთაისის სემინარიის ხელ-ახლად გახსნის შესახებ.**

✦ **გაფიცულმა მემანქანეებმა სთხოვეს ქალაქის მოურავს,** დაგვითმეთ საბჭოს დარბაზი კრებისათვის. და გვიშუამდგომლეთ, რათა დააკმაყოფილონ ჩვენი მოთხოვნილებანიო.

✦ დუშეთის მაზრის **გლეხები** გულხელ-დაკრეფილნი სხედან და **მინდვრების დასამუშავებლად არ გამოდიან.**

✦ ს. გლდანის (ტფილისის მაზრა) **მასწავლებელ ქალთან,** მ. ტაბლიაშვილთან, მისულან გლეხები და უთქვამთ: „როგორც ადამიანს, პატივსა გცემთ და გთხოვთ, სკოლაში სწავლა შესწყვიტოთ იმ დრომდე, ვიდრე ჩვენი ბედი გადაწყდებოდეს; ამასთანავე აწუსხეთ თქვენი და სკოლის ნივთები, დაჰკეტეთ სკოლა, გასაღები ჩვენ მოგვეცით და, თუ გსურთ, ცალკე სახლს დაგიქირთო საცხოვრებლად". შემდეგ ამისა ხალხს სოფლიდან მღვდლისა და მთავრის დათხოვნაც გადუწყვეტია.

✦ სოფ. ქინვალში (დუშ. მაზრა) ამ დღეებში სოფლის **კანცელარიას დასცემიან და ქაღალდები დაუწვავთ.**

✦ გორისა და დუშეთის მაზრებში სოფლელთა მოძრაობის დროს ხალხმა გაანადგურა სასოფლო კანცელარიები. სხვა საბუთებთან ერთად, **გადამწვარა სამხედრო ბეგრის სიები.** მაზრის უფროსები ეკითხებიან ბ. გუბერნატორს, უიმისობით როგორ მოვიქცეთ სამხედრო სამსახურში სოფლელთა გაყვანის დროსაო.

✦ გეტაშენიდან (განჯის მაზრა) «მშაკს» ატყობინებენ, ადგილობრივი **სამ-ნისტრო სკოლა გააუქმეს, რადგანაც** გლეხებს **ვერ შეაქვთო სწავლის ფული.** ხალხი თხოულობს, რომ მასწავლებლებმა უფასოდ ასწავლონ ბავშვებს.

✦ კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენერალ-ლეიტენანტ **მალამამ განკარგულება მოახდინა,** სადგურზე დაყენებულ ჯარმა და კაზაკთა რაზმებმა სხვა ზომებს მიმართონ ხალხის დასაშლელად და **არ კი ესროლონო.**

✦ ბორჩალოს მაზრის უფროსს თათართა დეპუტაციამ სთხოვა, **იჯარადრები თავიდან მოგვაშორეთ** და ჩვენვე გადმოგვეცით ჩვენი მიწებიო.

მაზრის უფროსს დაუკმაყოფილებია **მათი თხოვნა.**

✦ დუშეთის ქალაქის მამასახლისად ერთხმად არჩეულ იქმნა **ვლ. ყარანგოზიშვილი.**

✦ ამ დღეებში ჩამოიყვანეს დუშეთის მაზრიდან **დაპატიმრებულნი ნ. დედაბრიშვილი და რატიშვილი.**

✦ ბ-ნი სულთან-კრიმ-გირეი „მშაკის" რედაქტორის დეპეშის პასუხად აუწყებს: „სექტემბერში შემუშავებულ იქმნება ახალი კანონდებულობა ბეჭდითი სიტყვის **შესახებ და ქართულსა და სომხურ პრესსას მიენიჭება ის უფლებანი,** როგორიც რუსულ პრესსას მიეცემაო.

✦ ყუბანის საოლქო მთავრობას გადაუწყვეტია, **გენერალ მალამას პატივსაცემლად,** რომელიც ყუბანის უფროსად იყო, **შეაგროვოს ფული** და ამ ფულით სტიპენდიანტები უნდა შეინახოს (მშაკ).

✦ სადგურ ანანურში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებასთან **არსდება შემნახველ-გამსესხებელი კასსა.**

✦ **გ. ზდანოვიჩი დეპეშით იწერება პეტერბურგიდან,** რომ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს მიუღია იგი და დაჰპირებია—ყველა თქვენ შუამდგომლობას დიდ ყურადღებას მივაპყრობო. ჩამოვალ თუ არა, ქიათურის კონტრიბუციის საქმესაც—5,000 მან. რომ აქვთ შეწერილი გადასახდელად,—იმასაც მოვაგვარებო. შემპირდა აგრეთვე, რომ შავი-ქვის მრეწველების წარმომადგენლებს მონაწილეობას მივაღებინებ ადგილობრივ რჩევაშიო. ტარიფის საკითხსაც თანაგრძნობით შეხვდა და დამავალა ამის შესახებ მოხსენება წარვუდგინო, რასაც შევუსრულებ ამ დღეებშიო.

✦ ნაფიცმა ვექილმა **ა. ს. ფრენკელმა მიიღო ნებართვა, გამოსცეს ყოველდღიური რუსული გაზეთი** „კავკაზსკაია ჟიზნ". პროგრამა ვრცელია.

✦ პირველ აპრილს, დილის ცხრა საათზე, შავ ქალაქში **ერთი საცოდაობა მოხდა:** ორი მუშა ღებავდა მანთაშევის ნავთით სავსე რეზერვუარის სახურავს, რომელშიაც 200,000 ფუთი ნავთი იყო. ერთმა მუშათაგანმა პაპიროსის მოსაკიდებლად ასანათს გაჰკრა. სახურავზე მოგროვილ გაზს ცეცხლი გაუჩნდა და რეზერვუარშიაც ჩასწვდა. ცეცხლმა სახურავი აგლიჯა, ერთი მღებავი შორს გადაისროლა, მეორე შიგ ჩავარდა და დაიწვა.

✦ 2 აპრილს ბაქოში დააპატიმრეს ყველასაგან კარგად ცნობილი **აშორდია,** რომელმაც ყალბის საბუთებით თითქმის მთელი სამეგრელო **„გააკეთილშობილა",** რისთვისაც პასუხისგებაში იყო მიცემული და სასჯელს ემალებოდა. აშორდია იმერულად გამოწყობილიყო, მხრებზე პრაპორშჩიკის ჩინები გადაეკრა და ისე ჩამოსულიყო ბაქოში. იმ დროს, როდესაც გეზით საღლაც გამგზავრებას აპირებდა, თავს დაესხა პოლიცია და შეჰკრა.

✦ 3 აპრილს კავკავის ფოსტის მატარებლით ჩამოვიდნენ ბაქოში ბ-ნი კუზმინსკი და სხვანი, რომელთაც უმაღლეს მთავრობის მინდობილებით **უნდა გამოიძიონ 6—9 თებერვლამდე ბაქოში მომხდარი უბედურებანი.**

✦ ჩვენ მივიღეთ ერთი **ახალი წიგნი, გამოცემული პეტრე უმიკაშვილის სახსოვრად,** რომელშიც მოთავსებულია პ. უმიკაშვილის ნაწერები: „მცირე ტომთა ენებზე", პიესა „სამზადისი" და მისგანვე შეკრებილი სახალხო ლექსები. წიგნაკს წინ მიუძღვის მოკლე ბიოგრაფია პ. უმიკაშვილისა, შედგენილი ფ. გოგიჩაიშვილისაგან. წიგნი გამოცემულია ახალ ამხანაგობის „ცისკარი"-საგან, რომლის თავმჯდომარედ არის „ივერიის" გამომცემელი თ-დი ა. ი. თუმანიშვილი. წიგნი ღირს 30 კაპ. ამ პირველ წიგნს მოკლე ხანში საბიბლიოგრაფიო შენიშვნას ვუძღვნით და უფრო ვრცლად გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

✦ მივიღეთ აგრეთვე **ახალი წიგნი ბ-ნ იაკობ გოგებაშვილისა:** „რანი ვიყავით გუშინ?" რომელიც 1892 წ. არის დაბეჭდილი, მაგრამ დღემდის გამომცემელს გასაყიდად არ გამოუტანია. ამ წიგნის შესახებაც ცალკე საბიბლიოგრაფიო შენიშვნაში მოვილაპარაკებთ.

✦ ამ დღეებში კოჯრიდან სადამოთი კარეტით მოდიოდა თავისს სახლში კაპიტანი არტილერიისა ვასილ ზევჩევსკი. გზაზე, შინდისის დუქანთან, ხიდის მახლობლად, **დახვდერია სამი შეიარაღებული თათარი** და ქისა წაურთმევია, რომელშიაც 30 მანათი ჰქონია. გარდა ამისა, კარეტისთვის მაფრაშა შემოუხსნიათ და ამოულაგებიათ სხვადასხვა ნივთები. პოლიციამ სასტიკი ღონისძიებანი მიიღო ბოროტ-მოქმედთა აღმოსაჩენად და შესაპყრობად.

✦ ს. ალათაქლის მცხოვრებმა მამედ-ბაირამ-ოღლიმ გამოუცხადა ყარაიაზის ბოქაულს: როდესაც სახლში მივდიოდი, ტყეში შემხვდა ჩემი მეზობელი გლეხი ბაირამ-იბრაჰიმ-ოღლი, რომელსაც, დიდი ხანია, ჩემი მოკვლა უნდოდა, მაგრამ **მე დავასწარ და მოვკალიო.** დაჭრილი ბაირამ იბრაჰიმ-ოღლი მიწაზე რომ დავარდნილა, მივარდნია მამედ-ბაირამ-ოღლი და თავი და სასირცხო ნიშანი მოუჭრია.

✦ 20 მარტს კახეთის გზა-ტკეცილზე, სადგურ ვაზიანისა და უჯარმის შუა, იპოვნეს გვამი თავად დადიანის ტყის მცველისა.

✦ მანავის საძოვრებიდან ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა გარეკეს 40 სული ცხვარი იოსებ და ნიკა ხარაზნიშვილებისა.

⁂

მოთხოვნილებანი:

I

ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბუფეტების მოსამსახურეთა:

29 მარტს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბუფეტების მოსამსახურეებმაც წარუდგინეს თავიანთს აღებს შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) 8 საათის სამუშაო დღე; 2) ჯამაგირის მინიმუმის დაწესება (თვეში 15 მან.); 3) წელიწადში სამჯერ ჯამაგირი ყველას აუცილებლად უნდა ემატებოდეს; 4) მუშტარზე დარჩენილი ნისიები მოსამსახურეებს არ უნდა გადახდეთ; 5) მოსამსახურეებმა პასუხი არ უნდა აგონ დაკარგულ ან გატეხილ ჭურჭელზე; 6) ზრდილობიანად მოეპყრან უფროსები და აღები; 7) მიეცეთ ბინის ფული, ხოლო თუ ეს მოუხერხებელი იქნება, მაშინ ჰიგიენურად მოწყობილი ოთახი უნდა მიეცეთ და თითოში 2 კაცზე მეტი არ უნდა ცხოვრობდეს; 8) წელიწადში ერთის თვით თავისუფლება ჯამაგირის შენახვითა და ადგილის დაუკარგავად; 9) ავადმყოფობის დროს ექიმი და წამალი ერთის თვის განმავლობაში უფასო უნდა იყოს და ჯამაგირიც უნდა ეძლიოთ; 10) მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნა მოსამსახურეების საქმე იყოს; 11) დათხოვნა ერთის თვით ადრე უნდა გამოეცხადოს, ან-და—ერთის თვის ჯამაგირი მიეცეს; 12) მიღებულ იქმნას ყველა ხელქვეითები, 16—17 წლისაზე არა ნაკლებისა; 13) ჯამაგირები უთუოდ ყოველის თვის ბოლოში რიგდებოდეს; 14) სრულიად მოისპოს ფორმის ტანისამოსი; 15) სასადილოდ განსაზღვრული დრო დაინიშნოს; 16) გაფიცვისათვის არავინ იქნას დათხოვნილი; 17) პოლიტიკურ საქმეებში შენიშნულნი ისევე მიღებულ იქმნან თავიანთს ძველს ადგილებზე; 18) უჯამაგიროდ არავინ იქმნას მიღებული; 19) აღების შარშანდელ კრებაზე დადგენილი თითო თუმანი თვეში ჯამაგირად მიეცეთ მოსამსახურეებს; 20) ბუფეტის მოსამსახურეებს, რომელთაც თვეში 10—15 მ. აქვთ ჯამაგირად, მოემატოთ 50%, ვისაც 15—25 მანათამდე აქვთ—25% და ასე ამნაირად.

II

ტფილისის სასტუმროების მოსამსახურეთა:

1) რვა საათის სამუშაო დღე; 2) სრულიად მოისპოს ის ბე (залогъ), რომელსაც აღები იღებენ მოსამსახურეებისაგან ალაგზე დადგომის დროს; 3) დაწესდეს ჯამაგირის მინიმუმი 15 მან.; 4) წელიწადში სამჯერ ჯამაგირის მომატება; 5) დაკარგულ, გატეხილ ჭურჭლების ზღვევისაგან მოსამსახურენი განთავისუფლდნენ; 6) მუშტრებზე დარჩენილი ნისიები მოსამსახურეებმა არ უნდა იხადონ; 7) მიეცეს მოსამსახურეებს ბინის ფული, ხოლო სადაც ეს მოუხერხებელია, მიეცეს აღების ხარჯზე ჰიგიენურად მოწყობილი ოთახები, სადაც ორ კაცზე მეტი არ უნდა სცხოვრობდეს; 8) სადილ-ვახშამი და ჩაი აღების ხარჯზე; 9) განისაზღვროს სადილისათვის დრო; 10) მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნა მოსამსახურეების საქმე უნდა იყოს; 11) წელიწადში ერთის თვის თავისუფლება ჯამაგირისა და ადგილის შენახვით; 12) ავადმყოფობის დროს ერთის თვის განმავლობაში ექიმი და წამალი მუქთი უნდა იყოს და ჯამაგირიც ეძლეოდეთ; 13) მოსამსახურეთა ყოველგვარ დაჯარიმების მოსპობა; 14) ზრდილობიანად მოპყრობა აღებისა და უფროსების მხრით; 15) დიდ დღესასწაულებზე (შობა, აღდგომა, ახალ წელიწადი, ნათლისღება) მოსამსახურენი თავისუფალნი უნდა იყვნენ; 16) ფორმიანი ტანისამოსის სრულიად მოისპოს; 17) სტოლზე მოსამსახურეთ უნდა დაეკისროთ მხოლოდ სტოლზე სამსახური და არა სხვადასხვა ალაგება-დაწმენდა; 18) მოსამსახურეებად მიღებულ უნდა იქმნან 16—17 წლისაზე არა ნაკლებისანი; 19) მოსამსახურეთა უჯამაგიროდ მიღება მოისპოს და ვისაც 5—10 მანათი თვიური ჯამაგირი აქვს, მოემატოს 50%, ვისაც 10—30 მანეთამდე—25 პროც.; 20) მიეცეთ მოსამსახურეებს ის თითო თუმანი, რომელიც აღების შარშანდელმა კრებამ დაუნიშნა თვითოეულ მათგანს თვიურად; 21) მოისპოს ყულაბის ფული და მოსამსახურეებს დაუბრუნდეთ, რაც დღემდის გადაუხდიათ ყულაბის ფულად; 22) უკლებლივ დაუბრუნდეთ, რაც დღემდის ჯარიმა გადაუხდიათ; 23) ჯამაგირი უთუოდ ყოველის თვის დამლევს რიგდებოდეს; 24) მოსამსახურეს დათხოვნა ალამ ერთის თვით ადრე უნდა გამოუცხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვალეა ერთის თვის ჯამაგირი გადაუხადოს; 25) გაფიცვისთვის არავინ იქმნას დათხოვნილი და საზოგადოდ პოლიტიკური დამნაშავენი თავიანთ ადგილებზე მიღებულ იქმნან და უარს არ უნდა ეუბნებოდნენ; 26) მოისპოს ის საზიზღრობა და ადამიანის ზნეობის გამათახსირებელი საქციელი, რომელსაც ძალა-უნებურად აძლევენ, როგორც აღები, ისე მუშტრებიც, და იძულებულს ჰხდიან მოსამსახურეებს, სასტუმროებში მოუყვანონ ზნედაცემული მეძავი ქალები (პროსტიტუტკები) და სხვ.

⁂

ქუთაისის ცხოვრება

სასწავლებლებში „კერძოდ მეცადინეობა" და ამის მცველი კაზაკები. როზგი ლეჩხუმში. სიმონეთლების თავგადასავალი. ორი ამბავი. ცეცხლის მსხვერპლნი. ეპისკოპოსის საგანგებოდ გაწვევა ტფილისში. კიდევ რამდენიმე ამბავი. შეგირდების საყურადღებოდ პოლიციის განცხადება.

აქაურ საშუალო სასწავლებელში მოწაფეების ერთმა (უმცირესმა) ნაწილმა სწავლა დაიწყო. ისინი „კერძოდ მეცადინეობის" სახელით დადიან კლასებში. ეს ამხანაგების უკმაყოფილებას იწვევს და მოღალატეებს სტუქსავენ. მეოთხე კლასის მოწაფემ—კ—ძაიამ ქუჩაში სცემა გიმნაზიაში სამეცადინოდ მიმავალ მერვე კლასის მოწაფეს გ—როშს. ამისათვის რამდენიმე დღით ციხეში ყოფნის შემდეგ, კ—ძაია სარაყამიში გადაასახლეს.

ეს ერთი კვირაა ვაჟთა და ქალების გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის შენობების წინ შეიარაღებული კაზაკი-რუსები დგანან მშვიდობიანობის დასაცველად:

* *
*

მშვიდობიანობისვე დასაცველად ეს რამდენიმე დღეა რაჭა-ლეჩხუმის სოფლებში ას-ასი კაზაკი იგზავნება. ისინი უკვე ასულან ონსა, ლაილაშსა, ცაგერსა და ნაწილი გადასულა სვანეთშიაც. ალპანის სადგურზე. როგორც ლეჩხუმიდან ჩამოსულმა გვიამბო, კაზაკებს „გაუროზგიათ" ახლანდელ მოძრაობაში მონაწილეობის მიმღები ორი ახალგაზდა: დიაკვანი და სოფლის მწერალი.

* *
*

უკეთესი დღე არც სიმონეთელებს დამართნიათ. ქუთაისის მამულე ანანოვის მოურავს მოუთხოვია სოფლელებისაგან: თითო ეკლესიის მრევლმა თითო კაცი ამოირჩიეთ და იმათი პირით გადმოგვცემთ თქვენის მოთხოვნილების პასუხსო. ესენივე იქნებიან თქვენსა და ჩვენ შორის შუამავალი, იმათ ჩავაბარებთ ჩვენ მიზეზებს და ისინი თქვენ დაგირიგებენო. ასე მოუწოდა, თურმე, ანანოვის მამულების გამგე-მოურავმა ყველა მათგან დამოკიდებულ სოფლელებს. სოფლელებმაც კაცები ამოირჩიეს, მაგ. სიმონეთის საზოგადოებაში ამოირჩიეს ბუიღლიშვილი არსენ, ნიკოლაძე ილიკო, ბუბიაშვილი ტარასი (ნახშირღელელი), ღვინეფაძე ვლადიმერ (აზნაურიშვილია) და ვერულაშვილი ანდრია. აი ესენი ჩათვალა ხალხმა კეთილ-სინდისიერ, მათის სასოფლო საქმეების მომწესრიგებელ ადამიანებად.

დღეს სიმონეთელებისაგან ამორჩეული ზემოდ დასახელებულნი კეთილ-სინდისიერნი ყველანი ციხეში სხედან, სოფლელები კი გულ-დაწყვეტილნი კითხულობენ: „ნეტა რა გვექნა ჩვენი კაცებიო".

* *
*

ქუთაისში ამბავი მოვიდა, ამას წინად აქაურ ციხიდან ტფილისში გადაყვანილ ს. კილაძესა და ი. კაჩუხაშვილს რუსეთში, უფის გუბერნიაში, ჰგზავნიანო.

* *
*

ქალაქის სასწავლებლების აღმზდელებმაც უკვე შეიმუშავეს თავიანთი მოთხოვნილებანი და მალე გაგზავნიან სადაც ჯერ-არს.

* *
*

წუხელის (3 მარტს) ნაშუალამევს ცეცხლი გაუჩნდა თურმანოვის ქუჩაზე მეეტლე სიმონ შენგელიას ორ-სართულიან სახლს. ამ საღამოს სახლის პატრონს სტუმრად ჰყოლია ახლად ჯვარდაწერილი სიძე მელიტონ ნანუკაშვილი და ძმისწული გრიგოლ შენგელია. ნაშუალამევს 1 საათზე ნასვამი სტუმრები გაუცილებია მასპინძელს ეტლით სხვასთან ერთად. ამ დროს კი მათ ბინაზე ცეცხლი გაჩენილა. შენგელიამ და მისმა სტუმრებმა გზაში გაიგეს ცეცხლის გაჩენა და უკანვე მოიჭრნენ. მაშინვე სიძე და ძმისწული მუშა შევარდნენ ზედა სართულში, სადაც ერთ მათგანს ფულიანი ქისა დარჩენოდა, მაგრამ ამასობაში ხის სახლს მთლად მოედვა ცეცხლი და ეს ორი თავგამოდებული ახალგაზდა ამ ალმურის შუაგულში მოჰყვა, ჩაინგრა ცეცხლ მოკიდებული იატაკი და ესენიც ქვედა სართულში ჩავარდნენ, საიდანაც ცოცხალ-მკვდარი მხოლოდ ერთი მუშა გ. შენგელია გამოათრიეს სულ ტყავ-გამძვრალი, ხოლო მეორე სრულიად დაიწვა. დილას, ჩაქრობის შემდეგ დამწვარ ხეებში ძვლები ნახეს. პირველ მუშის მორჩენა ძალიან საეჭვოა.

სახლი დაზღვეული ყოფილა და ვაი თუ ფულის სიხარბის მსხვერპლი შეიქმნა ეს ორი სიცოცხლით სავსე ახალგაზდა!

* *
*

ეპისკოპოს ლეონიდმა უკვე დაამტკიცა სამღვდელოების მიერ კრებებზე დადგენილი ჟურნალები და გაუგზავნა ეგზარხოსს დასამტკიცებლად. დღეს, 4 მარტს ლეონიდი ტფილისში გაიწვია ეგზარხოსმა, რა საქმის გამო, არ ვიცით. კრებეზის გათავებისას ტფილისში ეგზარხოსთან იყო რაღაც საქმეების გამო აქაური სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ლ. კალტიპინი.

* *
*

გუშინ დაჭერილი ჩამოიყვანეს: გუბიდან სერაფიონ ნიჟარაძე (ყოფილი „ოკოლოდოჩნიკი" ქუთაისში), კულაშიდან მოსწავლე მიქელაძე, სამტრედიიდან რევაზ ნიკოლაიშვილი და სტამბის მუშები ჭუბაბრია და დათეშიძე.

* *
*

იმერეთის თავად-აზნაურობის კრება სამდროვო საკითხებზე მოსალაპარაკებლად 9 აპრილს არის დანიშნული.

*
* *

მოსწავლეების საყურადღებოდ ქუჩებში შემდეგი განცხადებაა გაკრული: ქუთაისის პოლიციის სამართველო უცხადებს ყველა მოსწავლეთ, რომელნიც გამოვიდნენ ქუთაისის სასწავლებლიდან, რომ ისინი ნულარ ატარებენ ამ სასწავლებლის ფორმებს; წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი. ჯერ არავინ იცის, ახლანდელი მოძრაობის გამო, რომელი სასწავლებლიდან, რამდენი მოწაფეა გამორიცხული და ამისათვის არც ის იციან, ვის შეეხება ზემორე მოყვანილი განცხადება.

ის.—[illegible]ძე.

⁂

სადღეისო

ძალა—უძლურთა!

ერთმანეთს თითქო არ შეჰფერის კიდეც ეს ორი სიტყვა: ძალა—უძლურთა...

შევეჩვიეთ იმას, რომ ყოველთვის ამ ქვეყნად ბატონობდა ძლიერი, რომ უძლური მის ფეხთამტვრად იყო გადაქცეული, მის ბრძანებას ისმენდა, მის ბატონობას იტანდა, რომ ვერ ჰბედავდა ვერავინ ხმის ამოღებას ამა ქვეყნის ძლიერთა საწინააღმდეგოდ.

შევეჩვიეთ იმას, რომ უძლური ჰგრძნობდა თავის უძლურებას ძლიერის წინაშე, ეს გრძნობა მის გულში მაგრად იყო ფეხ-მოკიდებული, კაცურ კაცობას უკარგავდა და სიცოცხლის, თავისუფალ, ადამიანურ სიცოცხლის სურვილს უსპობდა ყველას...

შევეჩვიეთ და ამიტომ უკვირს ზოგიერთს, რომ იცვლება ასეთი მდგომარეობა...

„ვაი უძლურთა",—ამბობდნენ უწინ. ახლა კი გაისმის ჰაერში ახალი სიტყვა, წარმტაცი, თანასწორობის, ახალ ცხოვრების მომასწავებელი სიტყვა: ძალა—უძლურთა!..

უძლურმა უძლურს მხარი მისცა, უძლურმა უძლურთან შეჰკრა პირი, უძლურთა საერთო მოქმედებამ შეჰქმნა საერთო ძალა, და ეს ძალა ყველასთვის უძლეველი გამოდგა.

ამა სოფლისა ძლიერთა გავლენა არარად გამოჩნდა უძლურთა შეერთებულ მოქმედების საწინააღმდეგოდ და ყველგან ასპარეზი შერჩათ იმათ, ვისაც ამოქმედებდა ერთი სურვილი, ერთი აზრი და მისწრაფება:

ძალა—უძლურთა...

წინადაც ისტორიაში არა ერთხელ ყოფილა იმის მაგალითი, რომ უძლურის წინაშე მოუხრია ქედი ძლიერს, როდესაც უძლურთა რიცხვი ყოფილა მრავალი, როდესაც ამ უძლურთა აერთებდა საერთო გრძნობა და ამ სიმრავლეს ბატონობდა რამოდენიმე ძლიერი ადამიანი...

ბატონობა სამუდამო არ ყოფილა არსად და არასოდეს... ყველაფერი ისპობა და მასთან ერთად ელება ბოლო ყოველგვარ ბატონობას დედა მიწაზე.

იყო წინად მონობა... ერთი ადამიანი, მეორეს ხელში საკუთრებად გადაქცეული, სურვილის გამოთქმასაც ვერ ჰბედავდა და იყო იძულებული სხვისათვის ეშრომა, სხვის ნებაზე ეცხოვრა, სხვის ყოველივე სურვილი აესრულებინა. ადამიანის ხიცოცხლე-სიცოცხლე ბატონის ხელში იყო, ადამიანი შინაურ პირუტყვით სცხოვრობდა და იყო უძლური...

მაგრამ წავიდა ის დრო და მოისპო საყოველთაოდ მონობა...

აღიარა საჭიროდ კაცობრიობამ, რომ არ უნდა იყოს მონა დედამიწაზე...

ეს იყო უძლურთა გამარჯვება, გამარჯვება მნიშვნელოვანი...

მაგრამ ძველი წესები ასე ადვილად არ მოისპობილა საყოველთაოდ...

აქა-იქ ბატონყმობა იყო ფესვ-მოკიდებული, ადამიანი არ იყო მონა, მაგიერად იყო ყმა, ე. ი. ისევე მონა, სხვისი საკუთრება, სხვის სურვილის აღმასრულებელი.

აქაც ძლიერნი უძლურებზე იყვნენ გაბატონებულნი, აქაც ეგონათ, რომ არ შეეძლებათ უძლურებს არსებულ წყობილების დარღვევა და თავისუფლების მოპოვება ძლიერებისაგან.

მაგრამ დაიწყო აქა-იქ სოფლად გლეხების მოძრაობა, შეერთდნენ უძლურები, მათი შეერთებული ძალა შეიქმნა საშიში ძლიერთათვის და, ნებსით თუ უნებლიეთ, დაუთმეს ძლიერებმა უძლურებს, მოისპო ბატონ-ყმობა და გაისმა ყველგან მხიარულად, იმედიანად:

ძალა—უძლურთა!

და ეს სიტყვები ახალ იმედებს უღვიძებს იმათ, ვინც იყო კიდევ ამ ქვეყნად ჩაგრული, სხვის მონა-მორჩილად გადაქცეული, სხვის ბრძანების აღმასრულებელი.

ძალა—უძლურთა!—გაისმოდა ყველგან და ამ ხმაზე წელში სწორდებოდა ყველა დამონებული...

საერთო მოქმედებას იწყებდა ყველა, პატარა ძალები ერთად გროვდებოდნენ, პატარა ღელეები ერთ დიდს მდინარეში იყრიდნენ თავს და საშინელის სისწრაფითა და ძლიერებით ეცემოდნენ და არღვევდნენ ნაპირებს.

ვერავითარი ძალა, ვერავითარი ძლიერება ვერ გაუმაგრდა უძლურთა საერთო ძალას და ამიტომ ყველგან, სადაც საერთო მოქმედებას იწყებდა უძლურთა გროვა,—გამარჯვებაც არასოდეს არ ასცდენიათ...

მონობა, ბატონ-ყმობა გადავარდა, მაგრამ ახლაც არ გადავარდნილა უთანასწორობა, ძალების უთანასწორობა, ერთის ბატონობა, მეორესგან მის სურვილების აღმასრულებლად დარჩენა...

დღესაც მრავალია უძლური, აქა-იქ გაფანტული ძალები... ჯერ ვერ ახერხებენ საერთო მოქმედებასა და შეთანხმებას, რომ მოიპოვონ შესაფერი უფლება, დაამყარონ დედა-მიწაზე თანასწორობა, მოსპონ ზოგიერთების პრივილეგია, რომ ადამიანურად მოაწყონ თავიანთი ცხოვრება...

ძალა—უძლურთა!

ეს წარმტაცი სიტყვები გაუგონიათ,—ეს სიტყვები მოსწონებიათ, ამ სიტყვებს იმეორებენ, მათი გამართლება უნდათ...

იმას უსათუოდ დანარჩენი თავისი ცხოვრება უდარდელად, უმიზნოდ და უინტერესოდ გაეტარებია, რომელსამე სამაზრო ქალაქში გაჰყოლოდა გართობას ისე, როგორც ათასი იმნაირივე ახალგაზდა მთელს თავის სიცოცხლეს სჩადის.

მაგრამ საქმე კი სულ სხვანაირად დატრიალდა. სრულებით მოუფიქრებლად ის მოჰყვა ხალხის გროვას. არც კი ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ის თავის მოქმედებით პროტესტს აცხადებდა, რომ პოლიციელები ალყას შემოარტყამდნენ და მერე საპყრობილეში აყოფინებდნენ თავს.

ეხლა კი ჩვენს წინ სდგას სრულებით განახლებული ახალგაზდა კაცი. მისი აზრი, გონება, მთელი მისი არსება გატაცებულია ღრმა ფიქრით ცხოვრების უსწორმასწორობაზე, უსამართლობაზე, ხალხის დაბეჩავებულ მდგომარეობაზე, ერთის სიტყვით—ისეთი აზრით, რომელსაც წინათ ადგილი არ ჰქონდა მის არსებაში. საპყრობილემ მოსპო მასში, მართალია, მისი ძველებური სიხალისე, დარდიმანდობა, დაადო მას დაღვრემილობის ბეჭედი, მაგრამ, სამაგიეროდ, გამოაშკარავა მისი გულის სიღრმიდან საუკეთესო განზრახვანი და ფიქრები და გაუჩინა მას ახლა ერთად-ერთი „დიადი ფიქრი".

ის „გმირობა", რომელიც მან გამოიჩინა პოლიციელებთან შეტაკების დროს, ახლა რაღაც სულ პატარა საქმედ, უმნიშვნელო მოქმედებად მიაჩნია. მას ეზარებოდა უწინდელი ფუქსავატი სტუდენტური ცხოვრების მოგონებაც. რწმუნდებოდა, რომ სულ სხვანაირი უნდა იყოს მისი ცხოვრება, მან უნდა შეასრულოს დიდებული საქმეები?

მაგრამ რა? როგორ?

ამის პასუხის მიცემა კი ვერ მოეხერხებინა. ქვეყანაზე თურმე რაღაც ახირებული ხალხი დადის. ყველა სხვის სურვილებს ასრულებს. საბრალონი! ვერ ბედავენ, რომ განაცხადონ,—არა, ამას მე არ ვიქ, რადგანაც არა მსურსო. თვით ადამიანთა არსებაში ყოფილა საპყრობილე. მთელი მათი ცხოვრებაც ხომ ირგვლივ საპყრობილეა.

ის იტანჯებოდა, რომ გაუმჯობესობის სახსარი ვერ მოეგონა, მაგრამ მშველელი არავინ ჰყავდა. ზედამხედველი მხოლოდ იმეორებდა: ღმერთო, რად არის ასეთი სიმხეცე და სასტიკობა ქვეყანაზე? რად? მაგრამ ამ კითხვაზე პასუხს ვერ იძლეოდა.

მიშამ მიაქცია ყურადღება, რომ მის ფანჯრის ახლოს დადიოდნენ ჩაფიქრებული და დაღვრემილი პატიმრები,—ცუდად ჩაცმულები, დამშეულები, გამხდარნი, მაგრამ ღრმა აზროვან გამომეტყველებით კი შეიხედავდნენ ხოლმე მიშას საკანში.

— რად ჩასვეს ესენი საპყრობილეში?

— ისინი თანახმანი არ არიან!

— რისი?!

— საზოგადოდ არ ეთანხმებიან ყველაფერს.

მიშა შეჰყურებდა იმათ და ფიქრობდა:

„ისინი დადიან საპყრობილეს კედლებში და არაფერს კი არ ეთანხმებიან. ისინი დიდ რამეზე ჰფიქრობენ".

„რაზე ფიქრობენ ნეტავი"?!

მიშამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თავის მეზობელს, რომელიც მახლობელ საკანში იყო.

— ეს ვინ არის? ჰკითხა მან ზედამხედველს...

— ვინ იცის, ვინ არის! ისე კი ძალიან უშიშარი კაცია. სუყველას სიმართლეს ეუბნება. წარმოიდგინე,—პროკურორს და ვიცეგუბერნატორსაც.—თქვენც კაცი ხართ, მეც კაცი ვარო. მე თქვენ არ გეთანხმებითო. ამისთვის ერთი კვირა კარცერი გადაუწყვიტეს. იმან კი სიცილი დაიწყო,—განა კარცერმა რა უნდა დამიმტკიცოსო...

ერთხელ, როდესაც მიშა იტანჯებოდა სასტიკ ცხოვრების კითხვების აუხსნელობით, მისი საკანის მყუდროება დაარღვია კედელზე კაკუნმა. ეს კაკუნი იმას ნიშნავდა, რომ მას გამოელაპარაკა საპყრობილის თავისებური ანბანით მეორე საკანიდან მისი მეზობელი.

მიშამ იგრძნო განახლება. მისი მეზობელი არკვევდა ცხოვრების აზრს, ის ატყობინებდა თავის უწმინდესს რწმენასა. თითქო ეს უნდოდა მიშას, ამას ელოდა ამდენ ხანს, ისე დაეწაფა ის მეზობლის სიტყვებს.

— ვინც გაანთავისუფლა თავისი გონება ცრუმორწმუნეობათა საპყრობილიდან, იმისთვის საპყრობილე არ არსებობს. აი, ხომ ხედავთ,—ჩვენ ვლაპარაკებთ ქვებს და ქვები მეტყველობენ ჩვენ მაგიერად.

დიაღ. ცხოვრება უმოწყალო და სასტიკია,—ესმოდა მიშას.

ცხოვრება არის ბრძოლა მონებისა თავისუფლების მოსაპოვებლად და ბრძოლა ბატონებისა თავის ბატონობის შესანარჩუნებლად. ამიტომ შეუძლებელია ცხოვრება იყოს სასიამოვნო და დაწყნარებული, შეუძლებელია იგი იყოს კეთილი და ლამაზი, სანამ ქვეყანაზედ არსებობენ ბატონები და მონები...

— ცხოვრება არ იქნება სამართლიანი, სანამ ბატონებს აფუქებს მათი ბატონობის ძალა და მონებს კი მათი მორჩილება და მონობის მოთმენა.

არა! ცხოვრება მუდამ იქნება სავსე სიმხეცითა და საზიზღრობით, სანამ ადამიანები არ მიხვდებიან, რომ ერთნაირად დამამცირებელია ადამიანისათვის ყოფნა როგორც მონად, ისე ბატონადაც.

მიშას ესმოდა კედელზე კაკუნი და ეს უბრალო ხმები მის გულში „დიდებულსა და მძლავრს აზრებს" იწვევდნენ.

ამ ხმებმა ჩაუნერგეს მას მტკიცე მოთხოვნილება, რომ უნდა განიწმინდოს ყოველივე ცრუ აზრებისაგან, დაკმაყოფილდეს უბრალო მუშის შრომით, აღამაღლოს ეს შრომა და შეუდგეს „დიდებულ ფიქრის" განხორციელებას...

მიშა განახლდა, გაძლიერდა.

საპყრობილემ შეჰქმნა მისგან მებრძოლი დემოკრატი...

ფრიდონ.

აქა-იქ გაფანტული ძალები თავს იყრის, ერთ კალაპოტში დგება, ერთ სულ და ერთ ხორცად იქცევა და იცის, რომ ამნაირად მიაღწევს საწადელს, ვინაიდან მოვიდა ისეთი დრო, როდესაც შექმნა:

ძალა—უძლეურთა!

ნ. ნ.

პრესსა

კანონიერების გრძნობა მხოლოდ თანდათან იკიდებს ფეხს რუსეთის კონსერვატორთა გულში, თუმცა ხალხის უმეტესობამ უკვე შეიგნო, რომ ,,კუდმოგლეჯილ ზომების ხანა'' წავიდა, რომ ,,ხალხმა თვითონ უნდა მიიღოს მონაწილეობა კანონების გამოცემაში''.

მაგრამ ზოგიერთს ახირებულად ესმის ახალი დროის მოთხოვნილება. ამბობენ, გვინდა წარმომადგენელთა კრებაო, და ამასთანავე ერთად ამბობენ, ამ კრებაში წარმომადგენლების არჩევა არ უნდა იყოს დამყარებული ყველასათვის თანასწორ, საყოველთაო და პირდაპირ საარჩევნო უფლების მინიჭებაზეო.

ამბობენ,—დამფუძნებელ კრებაში **მხოლოდ რუსები** უნდა იღებდნენ მონაწილეობასაო, და არა-რუსებს მხოლოდ სათათბირო ხმა უნდა ჰქონდეთ, გადამწყვეტი ხმა უნდა შერჩეთ რუსებს, ვინაიდან რუსეთი ეკუთვნის რუსებს...

საცა კი განაპირა ადგილებში ხალხი არ არის რუსებისა და რუსეთის მთავრობის წინააღმდეგი, იქ შეიძლება რამოდენიმე ხმაც მიენიჭოს მათ მომავალ კრებაში. ისე კი უნდა მოეწყოს საქმე, რომ უმეტესობა ყოველთვის დარჩეს რუსების ხელშიო.

საპოლიტიკო უფლება რუსეთში მხოლოდ რუსებს უნდა ჰქონდესო, ყველა დანარჩენი ეროვნება,—პოლონელები, ფინლანდელები, ურიები, ქართველები, შუაგულ-აზიაში მცხოვრებნი,—მონები არიანო, რუსების ქვეშევრდომები, და ამიტომ საჭირო არ არის მათი აზრის გაგება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს რუსეთი შემდეგში.

იმნაირი საბუთები, როგორიც არის პოლონელების ან ფინლანდელების კონსტიტუცია, ქართველების ხელშეკრულობა რუსეთთან შეერთების დროს,—ყურადღებაში მისაღები არ არისო, და ყველა ამ ეროვნებას რუსის ერმა უნდა უყუროს, როგორც თავის ქვეშევრდომს, იარაღით დამორჩილებულ.

ამნაირის აზრებით გამსჭვალული რუსთა საზოგადოების ერთი ნაწილი ჰფიქრობს გაბატონებას რუსეთში. ივიწყებს, რომ ამნაირი მიმართულების შემოღებამ სახელმწიფო პოლიტიკაში შექმნა ახლანდელი მდგომარეობა და რომ ახლა ძმობა-ერთობის პოლიტიკა ყველასათვის აუცილებელი შეიქმნა.

ამნაირ ძალმომრეობის, ერთ ერისაგან მეორეს დაჩაგვრის ხანა წავიდა და მხოლოდ მის სამუდამო მოსპობით შეუძლიან რუსეთს შეირჩინოს არსებობა შემდეგში.

—

„მოსკოვსკია ვედომოსტი“,—გაზეთი, რომელსაც რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი ზიზღის თვალით უყურებს და რომელსაც ამავე საზოგადოების მეორე ნაწილში დღემდე კიდევ შერჩენია ცოტაოდენი გასავალი,—არ სცხრება და ახლა კავკასიასაც სწვდა,—აცხადებს,—კავკასიაში არეულობა არისო, კავკასია ჯერ განუვითარებელი ქვეყანა არის, კანონისა არა იცის-რა და საჭირო არის მის დასამშვიდებლად სასტიკი ზომები:

> „რუსები კავკასიაში ორ სკამს შუა იყვნენ გაჩერებულნი, ერთის მხრივ ქართველებსა და სომხებს შუა, მეორეს მხრივ სომხებსა და თათრებს შუა.
>
> რუსების გასაძლიერებლად კავკასიაში საჭირო შიდა-რუსეთიდან ხალხის გადასახლება კავკასიის სხვადასხვა ადგილებში, რომ გამრავლდეს რუსული ელემენტი. საამისოდ ხაზინას ბევრი აქვს თავისუფალი ადგილი. ხაზინის ადგილებზე რუსები უნდა დასახლდნენ.
>
> ახლა 6 მილიონ კავკასიელზე მოდის მხოლოდ 130,000 რუსი, ე. ი., მხოლოდ ორნახევარი %. და, რასაკვირველია, ამათ არ შეუძლიათ შესაფერი გავლენა იქონიონ კავკასიის დანარჩენ ელემენტებზე“...

მოსკოვის გაზეთს ავიწყდება, რომ, კავკასიაში თუ არის ხაზინის ადგილები,—ეს ადგილები ეკუთვნის კავკასიელებს, მათი დასასახლებელია და რომ ახლა ყველასათვის ცხადია იმ პოლიტიკის უვარგისობა, რომლის თანახმად რუსეთში მცხოვრები ყველა ერები ითვლებოდნენ რუსების ქვეშევრდომად.

რუსეთი

31 მარტს პეტერბურგში, პუტილოვის ქარხანაში, გადაბრუნდა დიდი ასაწევი კრანი, რომელიც 1,500 ფუთს იწონიდა, და **მუშებს დაეცა**. მოკვდა 5 მუშა, მძიმედ დაშავდა 18, მსუბუქად—5. ქარხნის მუშებმა, რამდენიმე ათასმა კაცმა, იმ წამსვე მუშაობაზე ხელი აიღო, დახოცილთ პანაშვიდი გადაუხადა და ქარხნის დირექციას კრანის გამკეთებელ ინჟინერის დათხოვნა მოსთხოვა (რ.).

◆ ეპისკოპოსმა ისიდორემ „რუს. ვედ.“-ის რედაქციას შემდეგი წერილი გამოუგზავნა: გავიგე, რომ ეპისკოპოსს ნიკონს, „მოსკ. ვედ.“-ის რედაქტორს გრინგმუტსა და სხვებსაც პარტია დაუარსებიათ. ამ პარტიამ ყოველნაირად უნდა სდევნოს ლიბერალებს, მუშებს, სტუდენტებსა და საზოგადოდ ყველას, ვინც „მოს. ვედ.“-ს არ ეთანხმება. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, რომ ეპისკოპოსსა და ყველას, იმის მომხრეს, შემდეგი სიტყვები მოვაგონო მოციქულის პავლესი: ,,ნუ ექმნებით თანამეუღლე ურწმუნოთა მათ; რამეთუ არა მოყვარობა არს სიმართლისა და უსჯულოებისა? ანუ რა ზიარება არს ნათლისა და ბნელისა? ანუ რა შეტყუება არს ქრისტესი ბელიერისათანა». იმედი მაქვს, ქრისტეს მიერ მოყვარული მოყვასი ჩემი ეპისკოპოსი ნიკონი ამიხსნის ზემოხსენებულ ამბავს. ხალხის შეცდომათა გასწორება ეკკლესიას გრინგმუტების დაუხმარებლადაც შეუძლიან (რ. ვ.).

◆ ტამბოვის სემინარიაში 27 მარტს საღამოს ლოცვაზე გაფიცული სემინარიელები მივიდნენ [illegible]. კრებაზე რექტორი შევიდა, სემინარიელებს მკვახედ დაუწყო ლაპარაკი და, ემუქრებოდა, თუ არ დაიშალენით, ჯარს მოვითხოვო. შემდეგ რა მოხდა, ჯერ-ჯერობით ვერ გამოურკვევიათ. ის კი ცხადია, რომ „კაცთმოყვარე რექტორმა“ იეზუიტების ჩვეულებრივი სისასტიკე გამოიჩინა და სემინარიელები მოთმინებიდან გამოიყვანა. სემინარიელებმა მაგიდები, ლამფები, ფანჯრები და ყველაფერი, რაც კი ხელში მოხვდათ, მიამტვრ-მოამტვრიეს და რექტორი და მასწავლებლებიც იფრინეს. **სემინარიას ჯარმა ალყა შემოარტყა და იერიში მიიტანა. ბევრი სემინარიელი ხიშტით არის დაჭრილი.** ბრძოლა კიბეებზედაც ყოფილა. მთელი ქალაქი შიშის ზარმა მოიცვა. ყველგან პროკლამაციებს ჰფანტავენ და პატრიოტებს ბრძოლის ველზე იწვევენ: არიქა, ინტელიგენტები, მუშები და მოსწავლენი ამოსწყვიტეთო. ისეთი არეულ-დარეულობაა, რომ კაცი ვერაფერს გაიგებს. ეს ამბავი დეპეშით არის გადმოცემული. დაწვრილებითი ცნობა არ მოსულა (რ.).

◆ 25—28 მარტს პეტერბურგში პროფესორთა კრება მოხდა. ამ კრებაზე **შეერთდნენ მთელის რუსეთის პროფესორები** და ამრიგად ცალკე კორპორაცია შეადგინეს. ჯერ-ჯერობით ამ კორპორაციას 1560 წევრი ჰყავს. მსურველთა რიცხვი ყოველ-დღე მატულობს (რ. ვ.).

◆ პეტერბურგში აუარებელი უცხოელი კორესპონდენტი მოდის. **ისინი რაღასაც ელიან და** დიდ ფაცი-ფუცში არიან. იანვრამდე მხოლოდ ერთი ამერიკელი კორესპონდენტი იყო, ეხლა კი ექვსია. იტალიელები სულ არ იყვნენ, ეხლა კი ათი მოვიდა. რაღაც ამბების მოლოდინში მოვიდნენ აგრეთვე ესპანიისა, რუმინიისა და არგენტინის პრესსის წარმომადგენლებიც (რ. ვ.).

◆ „სინ ოტეჩ.“-ს რედაქციას გამოჩენილ კრიტიკოს გეორგ ბრანდესისაგან 16 მანათი და შემდეგი წერილი მოუვიდა: „ეს ფული ამ დღეებში ერთს ფაბრიკაში მომუშავე საწყალმა ქალებმა ერთმანეთში შეაგროვეს და მთხოვეს, 9 იანვარს **პეტერბურგში დახოცილ მუშათა** დაობლებულ ოჯახებს გაუგზავნეთო“. (ს. ო.).

◆ სამთო ინჟინერთა კრებაზე ინჟინერმა ლომჩინკო-გოლუბოვსკიმ შემდეგი განაცხადა: ჩვენ საზოგადოების მტრები გვავიწყდება. იმათაც უნდა ანგარიში გავუწიოთ. მე ამისთანა **მტრად გაზეთი ,,ნოვოე ვრემია'' მიმაჩნია.** კრების წევრებს ვთხოვ ამ გაზეთს თავისი ზიზღი გამოუცხადოს: ყველა ჩვენგანი მოვალეა ამ გაზეთის რედაქციას შეატყობინოს, რომ გაზეთს ნუღარ გვიგზავნიან. ამ გაზეთს ჩვენის (ინჟინერთა) საზოგადოების 10 ათასი წევრი იწერს. ამ წინადადებას კრება ხანგრძლივ ტაშის კვრით მიეგება (ნ. დ.).

თეატრი და ხელოვნება

ვეტცელის თეატრი. ქართული წარმოდგენა. ოთხშაბათს, 6 აპრილს, ვეტცელის თეატრში ვ. აბაშიძის სასარგებლოდ, ტ. აბაშიძისა, ი. ივანიძისა, იმედაშვილისა, გაბუნია-ცაგარლისა, შალიკაშვილისა და სხ. მონაწილეობით, წარმოადგინეს: „საუბედურო დებიუტი“, „პეპო“-ს მეორე მოქმედება და „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“. დასასრულ ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილმა, ივანიძემ, და კ. ჯაფარიძემ ლექსები და სცენები წაიკითხეს; არტისტმა ტომაშევიჩმა იმღერა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და ტ. და ვ. აბაშიძეებისა, შალიკაშვილისა, გაბუნია-ცაგარლისა და იმედაშვილის ხელოვნურ თამაშითა და ტომაშევიჩის სიმღერით ძალიან ნასიამოვნები დარჩა.

ქართლის ამბები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ოქონის ხეობა (გორის მაზრა). მე კარგად მახსოვს ის დრო, როდესაც ოქონის ხეობის გლეხკაცნი გლეხის კვალობაზე შეძლებულნი იყვნენ, მტერსა თუ მოყვარეს ღირსეულად უხვდებოდნენ და ამით თავმომწონეობდნენ. ეს იყო ამ 10 წლის წინად.

გავიდა ათი წელიწადი. მოუსავლიანი დღეები ხშირ-ხშირად ეწვია გლეხებს, სახელმწიფო და საერობო გადასახადებმა იმატა, გლეხნი დაბეჩავდნენ და მათ თავმომწონეობას ბოლო მოეღო. უკანასკნელ წლებში გლეხთა გაჭირვებამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. გაჭირვებულნი გლეხები ქალაქში გაიხიზნნენ და ადგილობრივ ჩარჩების საწველ ფურად გადაიქცნენ.

ჩარჩები, მებატონეები და სხვადასხვა სახელმწიფო გადასახადები,—აი ის მიზეზები, რომელმაც გამოიწვია აქ გლეხთა მოძრაობა. მართალია, გლეხებს სხვა მოთხოვნილებებიც აქვთ წამოყენებული, მაგრამ ეს მოთხოვნა იმდენად შეგნებული და გათვალისწინებული არ არის, როგორადაც გურიაში, გინდ ქართლის სხვა სოფლებში. მხოლოდ ზოგიერთი სოფელი უჩივის პოლიციის თავგასულობას, სასამართლოების უსამართლობას, მაგრამ უმრავლესობა იმდენად დაბეჩავებულია, რომ თავის მდგომარეობაზე ცოტათი გარკვეული ანგარიშიც კი ვერ შეუდგენია.

თუმცა გლეხთა მოძრაობა აქ მშვიდი და წყნარია, მაინც საჭიროდ დაინახეს კაზაკების ჩაყენება. დღესაც აქეთ მაზრის უფროსის თანაშემწე და ბოქაული კაზაკებით სოფელ-სოფელ დაიარებიან და თხოულობენ გლეხთა მეთაურებს. გლეხებს კაზაკებისა ძალიან ეშინიათ, რადგან კაზაკებს ადამიანის დანდობა არა აქვთ.

— ჩვენ მეთაური არავინა გვყავს. ყველანი ერთნაირად ვართ გაჭირვებულნი და ამიტომ ყველანი მეთაურები ვართო,—უბნებიან გლეხები პოლიციის წარმომადგენელთ.

ბეკამი. ვინ იცის, რამდენი უპატიოსნო და თავზე ხელ-აღებული კაცი სარგებლობს დღევანდელ საზოგადო მოძრაობით და თავის ჭუჭყიან საქმეს გლეხებს ახვევს თავზე. 31 მარტს ვიღაც კაცებმა ცეცხლი გააჩინეს სოფელში და გადასწვეს რევაზ ყიფიანის სახლი [illegible], დაირებული 7,000 მანათად, და პეტრე ყიფიანის ორი ბეღელი, რომლებშიაც 80 კოდამდე პური იყო და 80 კოდამდე სიმინდი. ამავ დროს ცეცხლი წაეკიდა გლეხის ცუცქირიძის სახლს და ერთიან გადაიწვა. დაღონებულმა გლეხებმა არ იციან, ვინ წაუკიდა ცეცხლი და ამ საქმის ჩამდენს მხოლოდ წყევლასა და კრულვას უგზავნიან. გლეხები და ყიფიანები დღემდე კარგ განწყობილებაში იყვნენ.

ალი. მემამულეები რამოდენადმე მოურიგდნენ გლეხებს. დღეიდან გლეხებს ნება აქვთ, მებატონეების ტყეებიდან უფასოდ გამოიტანონ საწვავად ხმელი შეშა და აგრეთვე ნედლი შეშაც, თუ შინ მოსახმარად უნდათ. გასაყიდ შეშაზე ბაჟს სოფელივე დააწესებს. მებატონეებისავე ნებართვით გლეხნი უფასოდ აძოვებენ საქონელს მებატონეების საბალახოებში. ასეთი შეღავათი გლეხებს მისცა, მაგალითად, მომრიგებელმა შუა-კაცმა თავ. კნოსტ. ამირაჯიბმა. ეს შეღავათი დიდად საგრძნობელია გლეხებისათვის. დღემდე თავ. ამირაჯიბს საწვავ-შეშის ფასად გლეხებისაგან შემოსდიოდა წლიურად 2,000 მანათი და საბალახოებიდან ამაზე ცოტა ნაკლები.

მუშაობა აქეთ ჯერ-ჯერობით ნორმალურად არ დაწყებულა. თავ. ამირაჯიბის ტყეში წლიწადში 25.000 შპალი იჭრება ხოლმე, წელს კი თავ. ამირაჯიბის მოურავს 10,000 შპალის იმედიც არა აქვს.

აქაურმა გლეხებმა დაადგინეს, მოსპონ ის მავნე ჩვეულებანი, რომელნიც ძირს უთხრიან გლეხთა კეთილდღეობას. წელს კვირა-ცხოვლობას აქაური გლეხები ქეიფით და სურ-ზურნით აღარ გაატარებენ. ამ გადაწყვეტილებას მთელმა გლეხკაცობამ ხელი მოაწერა.

აქაურები დღე-დღეზე მოელიან ახალ-სტუმრებს—კაზაკებს...

სურამი. კვირას აქ მოვიდა სურამის ბოქაული კაზაკებით და სურამის საბოქაულოს გლეხები დაიბარა. გლეხებმა საღამოს ჟამს მრავლად მოიყარეს თავი სურამის სასოფლო კანცელარიასთან, სადაც ბოქაულმა გამოუცხადა შეკრებილთ, დღეიდან ნება უნდა მისცეთ მამასახლისსა და მწერლებს თავიანთი მოვალეობის აღსრულებას შეუდგნენ და, ამას გარდა, სასოფლო კანცელარიამაც დღეიდან წესიერად უნდა იწარმოოსო. გლეხებს არ ეჭაშნიკათ ასეთი გამოცხადება, მაგრამ ბოქაულს უარი არ უთხრეს, მხოლოდ ეს კი წაილაპარაკეს თავისთვის:

— ჩვენ რა გვენაღვლება? და, გახსენით სასოფლო კანცელარია, მამასახლისიც დააყენეთ,—ასე გინდათ, ასე იყოს. მამასახლისი ჩვენ ვერ მოგვეკარება და ჩვენც იმას არ მივეკარებით, არც ჯამაგირს მივცემთო.

რ—ბ—ლი.

კორესპონდენცია

ფოთი. როგორც ვიცით, ფოთის ნოქრები და წვრილმანი ხელოსნები გაიფიცნენ და თავის მდგომარეობის გაუმჯობესობა მოითხოვეს.

მოთხოვნილებანი, რომელნიც ამ უკანასკნელებმა თავიანთ აღებს წარუდგინეს, მარტივი და ჩვეულებრივი არიან.

ამის გამო აქაურმა ვაჭარ-აღებმა მოილაპარაკეს და ერთხმად გადასწყვიტეს კრება გაემართათ, რათა ერთად გამოერკვიათ, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ნოქრების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მაგრამ, რადგანაც დღეს ყოველგვარ კრების გამართვა სასტიკად აკრძალულია, მეტადრე აქ, სადაც სამხედრო დროის წეს-რიგი არის შემოღებული, იძულებული შეიქმნენ დეპეშით ეთხოვნათ, სადაც ჯერ-არს, ნებართვა.

დიდის ლოდინის შემდეგ ვაჭრებმა საპასუხო დეპეშა მიიღეს და ნება მიეცათ თავიანთი განზრახვა სისრულეში მოეყვანათ. კვირას, 3 აპრილს, ფოთის ქალაქის საბჭოს დარბაზში გაიმართა კრება, რომელშიაც ადგილობრივი ვაჭრები და ნოქრები იღებდნენ მონაწილეობას.

კრებას, რომელსაც ბ-ნი იაკ. ფანცხავა თავმჯდომარეობდა, უმთავრეს განსახილველ საკითხს შეადგენდა ის, თუ რა საშუალებით და რამდენად შესაძლებელი არის ნოქრებისა და წვრილმან ხელოსნების დაკმაყოფილება. ამ საკითხს შემდეგ ორი საყურადღებო საკითხიც დაერთო.

პირველმა საკითხმა მწვავე კამათი და ხმაურობაც გამოიწვია. ბევრი სხვადასხვა აზრი გამოითქვა. ერთმა ვაჭართაგანმა სთქვა: „რადგანაც დღეს აქ ამის გადაწყვეტა შეუძლებელია, ამიტომ კარგი იქნება, რომ ორივე მხრიდან ე. ი. ვაჭრების და ნოქრებისაგან შესდგებოდეს მომრიგებელი კომისია, რომელმაც არც მწვადი დაწვას და არც შამფური და ისე შეთანხმება მოახდინოსო“.

მეორემ სთქვა: „მე ვიცი, რომ ჩვენს „ბიჭებში“ ბევრი თანახმა არაა, რომ დუქნები დილის 8 საათზე იღებოდესო, მაგრამ, შიშით თუ მორიდებით, იძულებული ხდებიან ,,მოთხოვნილებას'' მიემხრონ და ამის მიზეზნი არიან ზოგიერთები, თორემ ,,ბიჭებს'' ამის მოსაზრება სად შეეძლოთო“...

ვაჭრების უმრავლესობა ამ ,,ორატორთა'' სიტყვებს აღტაცებით მიეგება, მაგრამ, როდესაც ერთმა ახალგაზრდამ წარმოთქმულ სიტყვებს განმარტება მისცა და პასუხიც ზედვე მიაკერა, მაშინ კი სულ სხვა ნაირად შეეცვალათ ვაჭრებს გუნება. აი, რა სთქვა, სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა:

„ჩვენ, ნოქრებს, არავითარი კომისია არ გვჭირია,—ჩვენ უკვე შევადგინეთ ჩვენი კომისია, შევიმუშავეთ ჩვენი აუცილებელი საჭიროებანი და წარუდგინეთ ჩვენს აღებს. ახლა თქვენი ნებაა, დააკმაყოფილებთ თუ არა. შესარიგებელი ჩვენ არა გვაქვს რა და ის, რაც ჩვენ შევიმუშავეთ და წარმოგიდგინეთ, მოთხოვნილებაა და არა თხოვნაო.“

კიდევ დიდ ხანს გასტანდა ამ საგანზე კამათი, რომ თავმჯდომარე არ ჩარეოდა და ყოველივე სჯა-ბაასი შემდეგ დასკვნამდის არ მიეყვანა: ვაჭრებმა უნდა აირჩიონ თავიანთი კომისია და გამოარკვიონ, რაც შეიძლება მოკლე ხანში, რამდენად შესაძლებელი იქნება ნოქრების დაკმაყოფილება; მანამდისინ-კი ნოქრების პროგრამა ძალაში შევიდესო. ამაზე ნოქრებმა თანხმობა განაცხადეს და ვაჭრებს ერთი კვირის ვადა მისცეს.

ამას შემდეგ დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. თავმჯდომარემ ისევ განაახლა ლაპარაკი და მიმართა კრებას: „მე მსურს ახლა წამოვაყენო დანარჩენი ორი საკითხი, რომელიც სწავლის განახლებასა და ქურდ-ბაცობის მოსპობას შეეხება, გსურთ ამაზე ახლა იქონიოთ მსჯელობა, თუ შემდეგისათვის გადავდოთო“.

კრებამ თანხმობა განაცხადა და განხილვის შემდეგ ამგვარ გარდაწყვეტილებას დაადგა: ვიდრე სწავლა-განათლების საქმეში ძირითადი რეფორმები არ მოხდება, მანამდის სწავლის განახლება შეუძლებლად მიგვაჩნია. ვეცნობით მმართველ ბიუროკრატიას და წინადადებას ვაძლევთ ქალაქის თვითმართველობას, სუბსიდიის მიცემა მოუსპოს იმ სასწავლებლებს, რომლებიც არ ექვემდებარებიან მის კონტროლს და ხალხისათვის მხოლოდ ვნება მოაქვთო“.

მეორე საკითხის შესახებ შემდეგი დაადგინეს: „ძარცვა-გლეჯა და ავაზაკობა გამოიწვია თვით დღევანდელმა გაჭირვებულმა მდგომარეობამ. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ დღევანდელი ცხოვრების პირობები გავაუმჯობესოთ. ამისთვის კი საჭიროა თავისუფლება კრებისა, კავშირისა, სიტყვისა და პრესსისა!!..

ამით დასრულდა სჯა-ბაასი და კრება დაიშალა...

ს. ზენობნელი.

—

დ. ახალსენაკი (სამეგრელო). კვირას, 3 აპრილს, აკურთხეს აქაური ახალი ეკკლესია. პარასკევს ჩამოვიდა ექსარხოსი ალექსი, რომელმაც მეორე დღეს ადგილობრივი საქალებო და სასულიერო სასწავლებლები დაათვალიერა. შაბათ საღამოს ხუთასამდე კაზაკით ოზურგეთიდან ჩამოვიდა გენერალი ალიხანოვ-ავარსკი და ქუთაისიდან ვიცე-გუბერნატორი ქუთაისისა. ეკკლესიის კურთხევას ესენიც დაესწრნენ. მაზრის უფროსის განკარგულებით ექსარხოსთან მოსალაპარაკებლად და მისი დარიგების მოსასმენად მახლობელ სამამასახლისოებიდან დაბარებული იყვნენ გლეხები, მაგრამ სოფლებიდან არც ერთი გლეხიც არ ჩამოსულა. ეკკლესიის კურთხევის დღესასწაულს მარტო სენაკელები და ადგილობრივი და ახლად ჩამოსული კაზაკთა რაზმი დაესწრნენ. წირვის შემდეგ, სხვათა შორის, ვიცე-გუბერნატორმაც მიჰმართა ხალხს დარიგებით. ვიცე-გუბერნატორმა, სხვათა შორის, სთქვა: „სხვას ნუ ბაძავთ, არეულობა არ მოახდინოთ, თორემ ოჯახებში ეგზეკუციას ჩაგიყენებთ და ეგ-ეგ თქვენთვის არაფერი სასიამოვნოაო. ისევ სჯობია, მოითმინოთ და ახლად დანიშნულ მეფის მოადგილეს დაუცადოთ, რომ ჩამოვა, ყველა თქვენს საქმეს ის მოაწყობს-რიგებსო...“ ხალხის სახელით რამდენიმე კაცმა დაუწყო ლაპარაკი ვიცე-გუბერნატორს და აუხსნა ხალხის დღევანდელი ცხოვრების აუტანელი პირობები... იმავ საღამოს ექსარხოსი ტფილისს დაბრუნდა. გენერალ ალიხანოვმა თავის რაზმიდან რამდენიმე კაცი ზუგდიდს გაგზავნა და თვითონ ისევ ოზურგეთს წავიდა.

ეს რამდენიმე დღეა, სენაკელმა ნოქრებმაც თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე დაიწყეს ფიქრი და მოქმედება. [illegible] პირობა შეკრეს კვირა-უქმე დღეებში დუქნები სულ დაკეტილი იყოსო... მაგრამ ეს არ ეჭაშნიკათ ადგილობრივ აღებს. მათ [illegible] მორთეს—როგორ არ შეიძლება კვირა-უქმე დღეში დუქნების დაკეტვა, ვაჭრობა მარტო ამ დღეებში გვაქვსო. ამ თხოვნით მათ ადგილობრივ მაზრის უფროსსაც კი მიმართეს. მაზრის უფროსმა სთქვა: თქვენ (აღებო) თავისუფალი ხართ, კვირა-უქმე დღე რომ ივაჭროთ—ამისი უფლება გექნებათ, მხოლოდ ის ნოქრები მაჩვენეთ, ვინც დუქნები დაკეტა და სხვასაც აკეტვინებენო მე იმ ნოქრებთან მექნება საქმე, თქვენ კი მშვიდობურად ივაჭრეთო. მაგრამ აღებმა აქ გონიერება გამოიჩინეს. არა, ასე არ ჯობია, რაც სხვაგან ხდება (მაგ. ძველ-სენაკში, აბაშაში) აქაც მოხდეს—ნოქრების მომდურება-კი ჩვენთვის საშიში საქმეაო. და ამნაირად ჯერ-ჯერობით ნოქრებმა გაიმარჯვეს... კვირა-უქმე დღეებში დუქნები (სამიკიტნოებს გარდა) სულ დაკეტილია, ხოლო სხვა დღეებში იღება დილის 7-საათზე და იკეტება საღამოს 8—ზე.

ათავრენი მ.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

7 აპრილი.

ლონდონი, 6 აპრილი. გუშინ დილით ფილიპეს კუნძულებთან იაპონელებს 16 კრეისერი და კონტრ-ნაღმოსანი საზღვაოდ გამოსულიყო.

მოსკოვი. ერობის რწმუნებული გაიარინი იუწყება, რადგან ბრძოლა მალე მოსალოდნელი არ არის, სასანიტარო რაზმი ჩრდილოეთისკენ გადგვყავსო. ხარბინში საინჟინერო უწყებამ 500 კაზარმა ააშენა, რომელთა ნაწილი საავადმყოფოებს დაუთმო. ამბობენ, ყველა საავადმყოფოები მდინარე სუნგარის აქეთ გადმოაქვთო.

ამოი. ჩინეთის მთავრობამ გადასწყვიტა, მტკიცედ დაიცვას ნეიტრალიტეტი, თუ რუსეთის ესკადრა მოვა. ამბობენ, გემს ,,ნიტბანკზე'', რომელიც აქ ნავთ-სადგურშია, სამხედრო მასალა და ზარბაზნებია, ნახშირ ქვეშ რუსებისთვის დამალულიო.

ტოკიო. ოფიციალურად იუწყებიან, რომ ტონგუეზე მიმავალმა რაზმმა, სიხენჩენის აღმოსავლეთად 50 მილის მანძილზე, ეს მიდამო დაიჭირა 2 აპრილს. რუსები ჩრდილოეთისკენ უკუიქცნენ.

პორტ-ლუი. გერმანელი გემი ,,ჯულეტა'' მოვიდა ნახშირის წასაღებად, მაგრამ [illegible] ბძანება მოუვიდა საიგონში წასულიყო. კაპიტანმა განაცხადა, გემს ძინინტაუში გადმოვცლიო. ნება მისცეს 600 ტონნა წაიღოს. როდესაც 100 ტონნი დაუდეს, ადმინისტრაციამ მეტი აღარ დაადებინა. ინგლისელმა მეზღვაურებმა, რომლებიც ამ გემზე მსახურებენ, სთქვეს, გემს სურსათი უნდა წაეღო რუსების ესკადრისთვისო.

ტოკიო, 6 აპრილი. იაპონიამ ოფიციალური პროტესტი განუცხადა საფრანგეთის მთავრობას იმის გამო, რომ რუსის გემები კამრანში სადგურობდნენ.

განჯა, 6 აპრილი. ოთხი დღეა, ტფილისის ფოსტა არ მოდის.

ბელგრადი. იუწყებიან, მეციხოვნეთა ჯარში მრავალი ოფიცერი დაიდუპა. პოზარევაცში მღელვარებაა. აწინდელ წესწყობილების უკმაყოფილო ოფიცრებმა დემონსტრაცია მოახდინეს, კედლებიდან მეფე პეტრეს სურათები ჩამოიღეს და გადაჭყლიტეს. შინაგან საქმეთა მინისტრი პოზარევაცისკენ გაეშურა.

სოხუმი. 4 აპრილი. საღამოს $9\frac{1}{2}$ საათზე სემეცის აგარაკზე, სტატსკი სოვეტნიკის უსტინოვის ოჯახს 10 ავაზაკი დაეცა. 150 მანათი წაიღეს და მიიმალნენ. 5 მარტს იჩემჩირესთან ადგილობრივ მცხოვრებთ შეტაკება მოუვიდათ კაზაკებთან. მოკლულია 2 მცხოვრები და 3 დაჭრილი. მიზეზი ჯერ არ გამორკვეულა.

მოსკოვი. რადგან სამეცნიერო საზოგადოებათა კრებებზე დემონსტრაციები იმართება მთავრობის წინააღმდეგ პოლიტექნიკუმის მუზეუმის კომიტეტი დარბაზს აღარავის უთმობს, თუ კრების თავმჯდომარემ ხელწერილი არ მისცა, რომ დემონსტრაცია არ მოხდებაო.

სტამბოლი. პორტამ თავის წარმომადგენლებს საზღვარ გარედ გაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც დაწვრილებით არის აღნიშნული რევოლუციონერთა კომიტეტების მოქმედება, და უარჰყოფს ოსმალოთაგან მყუდროების დარღვევას.

ტფილისი, 6 აპრილი. ქართველი სამღვდელოება თავის კრებებზე შუამდგომლობს კათოლიკოსობის აღდგენას.

პეტერბურგი. ადგილობრივსა და უცხოეთის საბირჟო სფეროებში გავრცელებული ხმა, ვითომც რუსეთი ახალ შინაურ სესხის გამოცემას აპირებსო, უსაბუთოა.

ლიმოჟი. მოკლულის დასაფლავებაზე 15,000 კაცი დაესწრო. ხალხმა კუბოს მშვიდობიანად გაუარა და პატივი სცა. არავითარი უწესობა არ მომხდარა.

მოსკოვი. მოსკოვის უნივერსიტეტს მიუვიდა წერილები იმ დაწესებულებათაგან, რომელნიც სტიპენდიებს აძლევენ სტუდენტებს, ვიდრე სწავლა არ დაიწყოს, სტიპენდიები არ მისცეთო.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № (3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 6) ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

Дозволено цензурою, Тифлисъ, 8 апрѣля 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5